თუმცა პირადად არ გვიცნობთ და „საქართველოს" არ დაგზავნით, მაგრამ თქვენ ადრესი გვქონდა და გიგზავნით.

# საქართველო

თავისუფალი ორგანო.

წლიური ფასი — 5 მანეთი
თვითოეული ნომერი — 25 კაპ.

№ 10 წელიწადი პირველი. 1 მარტი 1904 წ. № 10

უმორჩილესად ვსთხოვთ ყველას, ვინც თანაგვიგრძნობს, მოგვაწოდონ ხოლმე ყოველგვარი მასალა, როგორც ქართულის, ისე ფრანგულის გამოცემისათვის: დოკუმენტები, წიგნები, კორესპონდენციები და წერილები.

რადგან ჩვენი გაზეთი ჯერ-ჯერობით ერთად-ერთი თავისუფალი ორგანოა, ამიტომ შიგ ადგილი დაეთმობა ყოველნაირ მიმართულების წერილებს, რომელთაც აზრად ექნებათ ქართველ ხალხის ინტერესთა გამოსარჩლება. მხოლოდ რედაქცია ამა თუ იმ წერილს თავის შენიშვნასაც გაუკეთებს.

მკითხველს ვსთხოვთ ყოველი ნომერი „საქართველოსი", წაკითხვის შემდეგ, სხვებსაც გადასცეს ხოლმე, რათა ამ სახით ხელი შეუწყოს ჩვენის გაზეთის გავრცელების საქმეს.

ყოველი შემოწირულება როგორც ფულით, ისე წიგნებით, დიდის მადლობით მიიღება.

რედაქციის და ადმინისტრაციის ადრესი: **51, rue Saint-Sauveur, PARIS.**

ცალკე ნომრები ისყიდება:

**SOCIÉTÉ NOUVELLE de LIBRAIRIE & d'ÉDITION.**
**17, rue Cujas. PARIS (Ve).**

## შინაარსი

წვრილ მესაკუთრეთა ადგილი თანამედროვე წყობილებაში და მათი როლი განთავისუფლების საქმეში. — ქართულ ცხოვრების მატიანე. — რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველ ხალხის ინტერესები. — „რევოლუციონაია როსია" და ეროვნული კითხვა. — მეგრელებს. — დემოკრატიზმი და სოციალიზმი. — „დროშაკის" წერილი. — სიმართლე ომის შესახებ. — ექვსი კაცის ჩამოხრჩობა ბათუმში (კორესპ.). — რუსეთის ქრონიკა. — სხვა-და-სხვა ამბები. — შეცდომის გასწორება. — ფოსტის ყუთი.

## წვრილ მესაკუთრეთა ადგილი თანამედროვე წყობილებაში და მათი როლი განთავისუფლების საქმეში

ყოველმა პოლიტიკურმა პარტიამ ნათლად უნდა აღიაროს: ვისი ინტერესების დამცველია იგი, რომელ საზოგადოებრივ კლასს ესარჩლება, ვისი ჭირ-ვარამი ჰსურს გამოსახოს თავის სამოქმედო პროგრამებში. ასე, მაგ., რუსეთის ს.-დემოკრატები თავიანთ თავს პროლეტარიის პარტიად აღიარებენ და სცდილობენ პროლეტარიის ინტერესები დაიცვან. სხვა კითხვაა, როგორ, რა საშუალებით, ავად თუ კარგად იცავენ ისინი პროლეტარიატთა ინტერესებს. ამ ჟამად ჩვენ ხაზს ვუსვამთ მხოლოდ იმ გარემოებას, რომ განსაზღვრულმა პოლიტიკურმა პარტიამ თავის მოქმედების ფარგალი მკაფიოდ აღნიშნა და აღიარა, სოციალ-დემოკრატია არის პროლეტარიატის პარტიაო.

კეთილი. მაგრამ ხალხი — რუსი იყოს იგი გინდ ფრანგი — სულ პროლეტარიებისაგან, უმიწაწყლო უშებისაგან ხომ არ შესდგება, უნებლიეთ გაიფიქრებს ადამიანი? გლეხობამ რაღა დაამავა, რომ მის ინტერესების დაცვაზედ ხელი აუღია ს.-დემოკრატიას და მარტო პროლეტარიატის ფარგალში შეუზღუდავს მოქმედების ასპარეზი? არა, ამბობენ ს.-დემოკრატები, გლეხობაზედ ხელი არ აგვიღია, მხოლოდ მას იმდენად ვეხმარებით, რამდენადაც იგი სოფლის პროლეტარიზაციას ხელს უწყობსო. ბოგანო გლეხებზე, ბოსიაკებზე, სოფლის უმამულო მუშებზე დიდი ხანია მიპყრობილია ჩვენი ყურადღება და ვცდილობთ კიდევაც სოფლის ამ ელემენტებისაგან შევქმნათ მებრძოლი რაზმი და მით შევავსოთ და გავაძლიეროთ ქალაქებში მყოფი პროლეტარიატიო. კი, მაგრამ სოფლის წვრილი მესაკუთრე?.. ისევ გაიფიქრებს მკითხველი. მამ ის მიწის მუშა, რომელიც წვითა და დაგვით პატარა საკუთარ მიწას ამუშავებს, რომელიც მუშაობისაგან წელში გაწყვეტილია, რომელსაც ყოველი კაცი სჩაგრავს — სახელმწიფოს მოხელე, მემამულე, სოფლის წურბელები — მამ წვრილმა მესაკუთრემ რა დაამავა, რომ « დაჩაგრულთა დამცველთ » მათთვის ხელის გაწოდება არა ჰსურთ? წვრილ მესაკუთრეს ის დანაშაულობა მიუძღვის, რომ მის ხელშია სამუშაო იარაღი — მიწა. ხოლო რადგან სამუშაო იარაღის კუთვნილება დღეს ბურჟუაზიის და კაპიტალისტების ნიშანდობლივი თვისებაა, ამიტომ მესაკუთრე გლეხკაცობაც ბურჟუაზიათ ჩაითვლებაო. მართალია, ბურჟუაზია უწვრილესია, დაჩაგრულიცაა, რადგან სხვილ-მემამულეთა წყალობით სულს ძლივს და ღაფავს, ხოლო მიუხედავად ამისა მესაკუთრე-გლეხი მაინც ბურჟუათ ჩაითვლება და მას, როგორც მესაკუთრეს, პროლეტარიატში ადგილი არ უნდა ჰქონდესო.

ვსთქვათ ეს ასეა. მაგრამ რუსეთში ხომ ხალხის 4/5 მიწათ-მოქმედია. რა მომავალი მოელის მშრომელთა ამ აურებელ ჯარს? ამაზედაც კარგა ხანია მზად აქვთ პასუხი მართლმორწმუნე სოციალ-დემოკრატებს. თანამედროვე საზოგადოებაში, კლასთა ბრძოლის ნიადაგზე, კაპიტალის კონცენტრაცია ხდებაო, ე. ი. ქალაქებში, მრეწველობა-ვაჭრობაში,

დიდი კაპიტალი ანადგურებს პატარას, სოფელში, დიდი მამული ჰნთქავს პატარა მამულსო. ეკონომიური ევოლუცია იმ ხასიათისაა, რომ, კაპიტალთა შეტაკების წყალობით, მომავალში მთელი სიმდიდრე, ქალაქსა თუ სოფელში, პატარა ჯგუფის ხელში დარჩება და ამ ჯგუფს, სოფელსა თე ქალაქში, ებრძვის და კულავ მეტის ძალით შეებრძოლება გაღატაკებული, უმიწაწყლო მუშა ხალხი, რომელიც თავის სამუშაო ძალას მამასისხლად მიჰყიდის, შეებრძოლება და ჩამოართმევს კაპიტალისტთ და სხვილ-მემამულეთა მცირე ჯგუფს შრომის იარაღს — ქარხანას და მიწასაო.

ამ რიგად, როგორც ვხედავთ, მარქსისტები პროლეტარიატის ინტერესებს იცავენ არა მარტო იმიტომ, რომ პროლეტარიატი დაჩაგრულია, არამედ იმიტომაც, რომ იგი, მათის აზრით, ერთად-ერთი კლასია, რომელსაც მალუძს რევოლუციის მოხდენა, რომ იგი კაპიტალისტიურ კონცენტრაციის და სოფლის პროლიტარიზაციის ძალით, მომავალში მშრომელ ხალხის უმრავლესობას შეადგენს და, ერთის აზრით, იდეალით და დისციპლინით გაწვრთნილი, კერძო საკუთრების ექსპროპრიაციას მოახდენსო. და ამიტომაც ს.-დემოკრატები უწინარეს ყოვლისა სცდილობენ ხელი შეუწყონ კაპიტალის კონცენტრაციას და სოფლის პროლეტარიზაციის პროცესს. ამ განზრახვით თავიანთ აგრარულ პროგრამასაც ისე ადგენენ, რომ სოფლელ ხალხს რაც შეიძლება მალე გამოეცალოს ხელიდამ შრომის იარაღი — მიწა. ასე, მაგ., რუსეთის ს.-დემოკრატთა მეორე კრებაზე დამტკიცებულ პროგრამაში, სხვათა შორის, ამ საგნის შესახებ განმარტებულია, რომ სოფელში უნდა აღმოიფხვრას ბატონ-ყმობის ნაშთი, რომელიც გლეხობას აწვება მძიმე ტვირთად და რომელიც ხელს უშლის სოფელში კლასებრივ ბრძოლის თავისუფალ განვითარებასო. და რათა ამ ბრძოლამ უმწვერვალესი ხასიათი მიიღოს, ამიტომ პროგრამაში ჩართულია, სხვა საშუალებათა შორის, ყურადღების ღირსი ერთი საშუალება: « უნდა გაუქმდეს ყოველგვარი კანონი, რომელიც უშლის გლეხს თავისი მამული თავისუფლად მოიხმაროს ». ამ მუხლის აზრი ის არის, რომ გლეხს უნდა მიეცეს უფლება მიწის გაყიდვისა და ფულიან პატრონს ამ მიწის შეძენისა, კანონი არ უნდა გადაეღობოს ამ « თავისუფალ » ხასიათის აღებ-მიცემას, რადგან მხოლოდ ამ საშუალებით აჩქარდება პროლეტარიზაციის პროცესი და კლასთა შორის ბრძოლა გამწვავდებაო. მართალია, კაცს ეჭვი ებადება, როგორ, ს.-დემოკრატია, რომელიც მუშათა დამცველ კანონმდებლობას დიდ მნიშვნელობას აძლევს, გლეხებს რიღასთვის აცლის ხელიდამ იმგვარ კანონებს, რომელთაც აზრად აქვთ მათი დაცვა (მაგ., **неотчуждаемость земли**)? განა ამგვარ კანონის გაუქმებით მიწა უფრო ადვილად არ გამოეცლება გლეხს, განა ამ საშუალებით სოფლის წურბელები არ ისარგებლებენ და თავიანთ მონად არ გაიხდიან? განა დღეს შეუძლია ბრძოლა გაუწიოს გაჭირვებას და განა, როდესაც გლეხს მიანიჭებთ მიწის გაყიდვის უფლებას, გარემოება არ აიძულებს მიწიდამ აიყაროს და ბოგანო გლეხად დარჩეს? სწორედ ეს მიზანიც ჰქონდათ პროგრამის მთხზველებს. მარქსისტიული თეორია მოითხოვს ამას. რა ვუყოთ, რომ გლეხი დაიჩაგრება, სამაგიეროთ კაპიტალის კონცენტრაცია გამეფდება, სოფლის პროლეტარიზაცია მოახლოვდება და ყოველივე ეს რევოლუციას წარმოშობსო. ამგვარი თეორიული ფილოსოფია უდევს სარჩულად მარქსისტების პრაქტიკულ მოქმედებას და მათ მიერ შეთხზულ პროგრამას.

მაგრამ მეორე კონგრესზე დამტკიცებულ აგრარულ პროგრამას იმისთანა მხარეც აქვს, რომელიც სრულიად არ შეესაბამება არც პროლეტარიზაციის და არც კონცენტრაციის თეორიას. პროგრამის მეოთხე მუხლის ძალით, მაგ., გლეხებს ს ა კ უ თ რ ე ბ ა დ უნდა დაუბრუნდესთ ის მიწა, რომელიც ბატონ-ყმობისაგან განთავისუფლების დროს მათ ჩამოართვეს მემამულეებმა. ხოლო იმავე პროგრამის მეხუთე მუხლი იმის ცდაშიაც კი არის, რომ სასამართლოებს მიენიჭოს ღალის დაწევის უფლება და მით გაუადვილდეს გლეხს მიწით სარგებლობა. კავკასიის დროებით ვალდებულ გლეხებს და ხიზნებსაც უწყალობებს პროგრამა და ანიჭებს ს ა კ უ თ რ ე ბ ა ს. ყოველივე ეს ისეთი მოულოდნელი ანომალიაა კონცენტრაციის და პროლეტარიზაციის მოტრფიალეთა პროგრამაში, რომ კაცმა აღარ იცის, რა იფიქროს. თუ კი გლეხს მიწა არ შერჩება, რიღასთვის აძლევენ? თუ კი იმ კანონს აუქმებენ, რომლის ძალით გლეხი რუსეთში თავის მიწას ვერ გაჰყიდის, ღალის ფასი რატომ უნდა გადასწყვიტოს სასამართლომ? იმიტომ განა, რომ გლეხს მეტი არ მოსთხოვონ, რომ იგი არ დაიჩაგროს? ხოლო განა უფრო არ დაიჩაგრება, მიწას რომ დაჰკარგავს? რუსეთის ს.-დემოკრატთა აგრარული პროგრამა ამ მხრივ უცნაურ შთაბეჭდილებას ახდენს. აი აქ დაირღვა კავშირი თეორიის და პრაქტიკის შორის. აქ არ არის გატარებული ის დოქტრინა, რომელზედაც ისინი აშენებენ თავიანთ პრაქტიკულ მოქმედებას. აქ ერთსა და იმავე დროს გლეხს საშუალებას ართმევენ მიწა დაინარჩუნოს და მეორეს მხრივ გლეხთა საზოგადოებათ საკუთრებას აძლევენ და სოფლის წურბელის ასალაგმავადაც კანონებს ჰქმნიან. ერთის სიტყვით, აქ არევ-დარევაა, უარ-ყოფაა იმ ნიადაგისა, რომელზედაც იდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატია.

* * *

უნდა აღვნიშნოთ, ეკონომიურ ცხოვრების მიმდინარეობამ არ მიიღო ის მიმართულება, რომელიც მართლმორწმუნე მარქსისტებს ჰსურდათ. კაპიტალის კონცენტრაციის აუცილებლობის პროცესი მხოლოდ ნახევრად გამართლდა. მართალია, სოფლიდამ ერთი ნაწილი დაიძრა ქალაქებისაკენ სამუშაოს საძებრად, თვით სოფელშიაც გაჩნდა უმიწაწყლო ელემენტი, რომელიც თავს იკვებავს სამუშაო ძალის გაყიდვით ისე, როგორც ქალაქის მუშა. მაგრამ, ამისდა მიუხედავად, სოფელში მაინც დარჩა გლეხობის დიდი ნაწილი და ამ გლეხობაში აღმოჩნდა, საერთო ეკონომიურ მოძრაობის ზედგავლენით, სხვა-და-სხვა შ… Sur.

ლებულობის ჯგუფები. დიდი უმრავლესობა წვრილი
მესაკუთრეა, მცირე ჯგუფი გამდიდრებულ გლეხთა
და ვაჭარ-მემამულეთაგან შესდგება ამჟამად. ამ სხვა-
და-სხვა შეძლებულობის გლეხთა შორის იგივე უთან-
ხმოება და ქიშპობაა, როგორიც გლეხთა და თავად-
აზნაურთა შორის.

ამრიგად წვრილი მესაკუთრე, რომელსაც « კონ-
ცენტრაციის პროცესმა » მიწა ვერ დააკარგვინა, ხო-
ლო რომელიც აუტანელ შრომის და ექსპლოატაციის
გამო, წელში მოხრილია, წვრილი მესაკუთრეც უნდა
ჩარიცხულიყო იმ მშრომელ რაზმში, რომელიც დღეს
იბრძვის თავის ძირითად მდგომარეობის გაუმჯობე-
სობისათვის. ბელგიის გლეხთა კონგრესზე, რომელიც
წარსულ წლის ნოემბერში მოხდა ბრუსელში, დაად-
გინეს : « .... მუშათა პარტიამ ყველა ხასიათის
დაჩაგრულები უნდა დაიცვას (კურსივი ჩვენია). გან-
საკუთრებით სამრეწველო და სამეურნეო მუშები,
რომელნიც სოფლებში სცხოვრობენ და აგრეთვე
წვრილი მესაკუთრუნიც, რომელნიც თითქმის
იმავ პირობებში იმყოფებიან, რა პირობებშიაც სხვა
მუშები სცხოვრობენო ». ცნობილი ბელგიელი პრო-
პაგანდისტი გამაურსენი ამბობს : « ყოველგვარი
წვრილი მამულის მესაკუთრე იმგვარი პირია, რომ-
ლის სოციალური მდგომარეობა მხოლოდ გარეგ-
ნობით დგას მაღლა მუშების სოციალურ მდგომა-
რეობაზედ და ნამდვილად კი იგი უფრო დაჩაგრუ-
ლია : მეტს მუშაობს, უფრო უბედურია, გონებრივ
ინტერესებით ვერ სცხოვრობს, უფრო შებოჭვილი-
ცაო » (1).

რუსეთში სოციალისტ-რევოლუციონერებმა იკის-
რეს გლეხთა ნამდვილ მდგომარეობის გამოკვლევა
და მართლმორწმუნე მარქსიზმის « კრიტიკის » მე-
ოხებით ყველას დაანახვეს უტყუარი სოციალური
მდგომარეობა წვრილ მესაკუთრეებისა და ხალხის
ამ ნაწილის პოლიტიკური როლიც განმარტეს. « რა
თვისებაა ის თვისება, რომლის წყალობით შეიძლება
ითქვას, ესა და ეს კაცი ბურჟუაზიას ეკუთვნისო »,
ჰკითხულობს « რევოლუციონნაია როსსია », სოცია-
ლისტ-რევოლუციონერების ოფიციალური ორგანო.
« ჩვენს თვალში, განაგრძობს გაზეთი — ეს თვისება
არის ის საცხოვრებელ სახსარის წყარო,
რომლის საშუალებით სცხოვრობს ესა და ეს პირი.
თანამედროვე საზოგადოებაში მთელი რიგი საზოგა-
დოებრივ ელემენტებისა ეგრედ წოდებული ზედ მეტ
ღირებულობით, სხვისი შრომით სცხოვრობენ...
ჩვენ არ შეგვიძლიან « გლეხობა საერთოდ ადებუ-
ლი წვრილ ბურჟუაზიად » აღვიაროთ (2). ჩვენის
აზრით, გლეხობა ორ განსაზღვრულ ნაწილად იყო-
ფება : 1. მშრომილი გლეხობა, რომელიც თავის მარ-
ჯვენით სცხოვრობს და 2. სოფლის ბურჟუაზია —
საშუალო და წვრილი, რომელიც უმეტეს შემთხვევა-
ში სხვისის ნამუშევრით სცხოვრობს. მშრომელ
გლეხობას ჩვენს თვალში სოფლის პოგანო (უმამუ-
ლო) გლეხებიც შეადგენენ, წვრილი მესაკუთრენიც,
რომელნიც საკუთარის შრომით ამუშავებენ მიწას.
ამ ორ ელემენტთა შორის პრინციპიალური ერთგვა-
რობაა. შრომა არის ამ ელემენტების საცხოვრებე-
ლი სახსარი. გარდა ამისა ორივენი (როგორც სოფ-
ლის მუშები, ისე წვრილი მესაკუთრენი) უმოწყა-
ლოდ არიან დაჩაგრულნი სხვა ელემენტების
მიერო » (1).

* * *

ყოველივე, რაც ვსთქვით, ნათელს მოჰფენს ჩვენის
პროგრამის იმ მხარეს, სადაც ჩვენ, გლეხობაზედ და
მის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ გვაქვს საუ-
ბარი. ჩვენ გვსურს დავიცვათ ყოველი მშრომე-
ლი ნაწილი ქართველ ხალხისა და მასში, რასაკვირ-
ველია, წვრილ მემამულეთა ინტერესებიც. ხოლო
ხალხის ამ ნაწილს მართლმორწმუნე მარქსისტებისა-
ვით არ ვიცავთ, ე. ი. არ ვცდილობთ იმგვარ აზ-
რების გავრცელებას, ვითომ სასარგებლო ყოფილი-
ყოს, კონცენტრაციის და პროლეტარიზაციის გული-
სათვის, გლეხს მამული გამოეცალოს და იგი შეიქმ-
ნეს უმიწაწყლო მუშა-კაცად. ამგვარი ექსპერიმენტები
ჩვენ არამც თუ უმართებულოდ მიგვაჩნია, არამედ
უსარგებლო და მავნებელიცაა.

ქართველ ხალხის 80% სოფლად სცხოვრობს. ამ
რიცხვში წვრილი მესაკუთრე, ნახევარზე მეტი იქმნე-
ბა. რომ ველოდოთ იმ დროს, როდესაც ეს ხალხი
მიწას დაჰკარგავს და პროლეტარიის ჯარში ჩაირიც-
ხება, დიდხანს დაგვჭირდება ლოდინი. ჩვენ გვსურს
მივიდეთ ამ ხალხთან და გამოვესარჩლოთ მას ყოვ-
ლე, როგორც მშრომელ. გაჭირვებაში ჩავარდნილ
წვრილ მესაკუთრეს. ხოლო ჩვენი განზრახვა ის კი
არ არის, რომ ამ ხალხს მესაკუთრეობის ყინი
და სურვილი განვუმტკიცოთ, არამედ დავანახვოთ
სხვა უმაღლესი საზოგადოებრივი ფორმა წარმოები-
სა და მოვამზადოთ იგი კოოპერაციებისა, ~~სასოფლო~~
სამეურნეო სინდიკატებისა~~თვის~~ და ~~[illegible]~~ურ-
თიერთ დამხმარებელ საზოგადოებათა დაარსების~~სა~~
~~[illegible]~~ კომუნისტურ წარმოებისათვის.

შემცდარი აზრია, ვითომ სოციალიზმის შეთვისე-
ბისათვის საჭირო ყოფილიყოს ხალხის გაპროლეტა-
რიატება. სოციალიზმი, ზოგადად რომ შევხედოთ
საგანს, ცხოვრების ერთგვარი ფილოსოფიაა, რომ-
ლის შეთვისებისათვის გონებრივი მომზადება არის
საჭირო. და ეჭვი არ არის, რომ დანიელი გლეხები,
რომელნიც კოოპერაციების საშუალებით ინგლისში
140 მილ. მანეთის საქონელს ასაღებენ, ან ბელგიელი
კოოპერაციები, მაგ., ქ. ვორემში არსებული დიდი
კოოპერაცია, რომლის მოქმედება 20 სოფლის საზო-
გადოებათა წრეებში სწარმოებს ~~[illegible]~~, რომ ეს
ხალხი უფრო მომზადებულია წარმოების იმგვარ
ფორმის შეთვისებისათვის, რომელიც ურთიერთ
შრომის და შრომის ნაყოფის სამართლიან განაწი-
ლების პრინციპებზეა აშენებული. ეჭვ გარეშეა ისიც,
რომ გაღატაკებული, წელში გატეხილი, უმიწაწყლო
სოფლის მუშა, აქა-იქ გაფანტული, შეუიარაღებელი,
განცალკევებული და მიწასთან გასწორებული ცუდ

(1) „Рев. Россія" № 38.
(2) როგორც ს.-დემოკრატებს ჰგონიათ. რედ.

(1) „Рев. Россія" № 41.

ნიადაგს წარმოადგენს ნაყოფიერ პროპაგანდისა-თვის (1).

ამგვარად ჩვენი მოქმედების საძირკველი ჰფართოვდება, ჩვენ გვსურს ხალხის უმრავლესობის ჭირ-ვარამის გამოხსნა; გვინდა ხელი შევუწყოთ მას ეკონომიურ განთავისუფლების საქმეში; და რადგან, როგორც არა ერთხელ გვქონდა ნათქვამი, ქართველ ხალხის ეკონომიური აღორძინება დაკავშირებულია ეროვნულ თავისუფლე-ბასთან, ჩვენი სურვილი ყოველთვის ის იქნება, რომ გავაგებინოთ ხალხს — საქმე მარტო თვით-მპყრობელობის დამხობა კი არ არის, საქმე საკუთა-რის ეროვნულ თვით-მმართველობის მოპოვებაა. ამ ძირითად ცვლილების განხორციელებისათვის მარტო პროლეტარიატის ძალა არ კმარა, აქ არის საჭირო გაერთიანება ხალხის ყველა მშრომელ ელე-მენტებისა. და ამ საგანს ვემსახურებით ჩვენ შეძლე-ბის დაგვარად.

## ქართულ ცხოვრების მატიანე

3 თებერვალს, ოთხ მინისტრს (შინაგან საქმეთა, იუსტი-ციის, განათლების და სინოდის პროკურორს) საგანგებო სხდომა ჰქონდათ პეტერბურგში და ამ სხდომაზე გადა-სწყვიტეს „კვალის" და „ჯეჯილის" სამუდამოდ დახურვა. ამრიგად, საქართველოს მოაკლდა ორი ორგანო. „კვალს" დიდი ხანია ემტერებოდენ ტფილისის ჟანდარმები, თუმცა ეს გაზეთი, როგორც ყველა სხვა, ცენზურის ზედამხედვე-ლობის ქვეშ იბეჭდებოდა და, მაშასადამე, უკანონოს არა-ფერს ხჩადიოდა. რაც შეეხება „ჯეჯილს", მისი მოსპობა სწორედ რომ დაუჯერებელია. „ჯეჯილი" საყმაწვილო ჟურ-ნალი იყო; „კვალთან" „ჯეჯილს" ის კავშირი ჰქონდა, რომ დაარსების დროს ორსავე ორგანოს ერთი პასუხის-მგებელი რედაქტორი ჰყავდა. მაგრამ ამ უკანასკნელ დროს „კვალმა" თავისი საკუთარი რედაქტორი გაიჩინა და მაშა-სადამე „ჯეჯილს" არ უნდა დასდებოდა ის ბრალი, რო-მელსაც ჟანდარმები „კვალს" სდებდენ.

„კვალის" და „ჯეჯილის" მოსპობა დიდი დანაკლისია საქართველოსათვის. კარგად თუ ავად პირველი ქართველ ხალხის ინტერესებს ემსახურებოდა, ხოლო მეორე ქართ-ველ ბავშვებს აწვდიდა გონებრივ საზრდოს. ხალხსა და ბავშვებს წაართვეს ის, რაც მათთვის საჭირო იყო, რაც აფხიზლებდა მათ აზრს, რაც უღვიძებდა მათ გულში სიკე-თისადმი სურვილს. ამ გაზეთის დახურვა ნამდვილი შეუ-რაცხყოფაა ქართველებისა, რადგან, დღევანდელ პირობებ-ში, გაზეთი თითქმის ერთად-ერთი საშუალებაა ჩვენი ხალ-ხის გამოფხიზლებისათვის. სკოლა ჩვენ არა გვაქვს, არავი-თარი თვით-მმართველობის დაწესებულება არ მოგვეპოვება, ერთი-ორი გაზეთი გვაბადია, სადაც ჩვენი ცხოვრების ჭირ-ვარამის გამოთქმას ვცდილობთ, სადაც ოდნავ მაინც იხატება ჩვენი სურვილები და მისწრაფებანი, და აი ეხლა ამ რამ-დენიმე გაზეთის რიცხვიდამ სამუდამოდ გამორიცხეს ორი ორგანო. არც ხალხს, არც მათ ბავშვებს არ უნდათ საკით-ხავიო! მაგაზე მეტი დამცირება და შეგინება-ღა იქნება?!

—()—

შემდეგს ნომერში დავბეჭდავთ ერთ საყურადღებო დო-კუმენტს — ტფილისის გუბერნატორის რაპორტს ჩვენებურ საქმეების შესახებ. ამ რაპორტში, სხვათა შორის, ის არის გატარებული, რომ ქართველები (განსაკუთრებით, იმერ-ლები და გურულები) რევოლუციონურ ელემენტს შეადგენენ კავკასიაში და მათ წინააღმდეგ ზომების მიღება არის სა-ჭირო, რკინის გზის სახელოსნოებიდამ უნდა გამოიდევნო-ნო. მათ წინააღმდეგ საბრძოლველად რუსები უნდა შევა-კავშიროთ ერთმანეთში, რათა რევოლუციონურ ელემენტს დავუპირდაპიროთ შეკავშირებული „ღონიერი" ნაწილი რუს-მუშებისაო. წაიკითხავს რა ამ რაპორტს, ჩვენი მკით-ხველი თვითონ დააფასებს ღირსეულად მის პოლიტიკურ მნიშვნელობას. ჩვენ აღვნიშნავთ მხოლოდ ამ ჟამად, რომ იგი რაპორტი ანტი-სოციალ ხასიათთან ერთად ქართველ ეროვნების წინააღმდეგაც არის მიმართული. ქართველ ტო-მის მუშებს, მხოლოდ იმიტომ, რომ მათ უკვე თავიანთ მდგომარეობის გაუმჯობესების სურვილი გაეღვიძათ, ადმი-ნისტრაციამ წვალებით და შრომით ნაშოვნი ლუკმა-პური უნდა გამოაცალოს პირიდამ.

—()—

მაგრამ მთავრობა ამას არა სჯერდება. ქართველ მუ-შებს ხომ სამუშაო უნდა გამოაცალოს ხელიდამ, ქართველ გლეხებს კიდევ მიწას აცლის ფეხიდამ. გადაავლეთ თვალი საკოლონიზაციო კომიტეტის მოქმედებას, რომელიც ჩვენი „მეგობრის" (ველიჩკოს) მიერ იყო დაარსებული და რომლის წევრებად ქართველებიც არიან, როგორც, მაგ., ტფილისის სა-სულიერო სემინარიის მასწავლებელი მახათაძე, ქუთათური მასწავლებელი მაჭავარიანი და სხვანი. კომიტეტს განზრა-ხვა აქვს ამ მოკლე ხანში 10,0000 რუსის გლეხი დაასახლოს კავკასიის სხვა-და-სხვა ადგილს. გადმოსახლებულთათვის მიზომილია უკვე 86,615 დესეტინა მიწა. ტფილისის გუბერ-ნიაში 12 ადგილია მიჩენილი ამათთვის. კავკასიის სხვა ნა-წილებიც არ აქვს დავიწყებული კომიტეტს. განჯის გუ-ბერნიაში 20 ადგილს უნდა დაასახლონ, ბაქოს — 14 და სხ. ყოველივე ეს ხდება იმის შემდეგ, როდესაც ტფილისის სა-სოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ სტატისტიკურ გამო-კვლევათა ძალით ყველას ნათლად დაუმტკიცა, რომ კავ-კასიაში არ არის თავისუფალი ადგილი გარეშე ელემენტის დასასახლებლად, რომ ადგილობრივ მკვიდრთა უმთავრესი გაჭირვება მიწის სიმცირისაგან წარმოსდგება. — „საქართ-ველოშიაც" არა ერთხელ გამოთქმულა ის აზრი, რომ რუსე-თის საკოლონიზაციო პოლიტიკა ახლო მომავალში იმისთა-ნა პირობებს შეჰქმნის ადგილობრივ მკვიდრთათვის, რომ აიძულებს მათ იარაღით დაიცვან თავიანთი სარჩო-საბადე-ბელი. ხოლო ყველასათვის ცხადი შეიქმნა, რომ კავკასიის-კენ მიმართულ რუსთა-იმმიგრაციას წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვს, რადგან რუსეთის იმპერიის ერთი ნახევარი ციმბირი ჯერ კიდევ დაუსახლებელია. და მთავრობას მარ-თლა რომ გული შესტკიოდა რუსის ხალხისათვის, იქით-კენ მიჰმართავდა კოლონიზაციის მსვლელობას. ციმბირის ზოგიერთ ადგილებში მიწაც ნაყოფიერია, ჰავაც იმისთანაა, რომელსაც ადვილად ითვისებს რუსი კაცი. მაგრამ, არა, მთავრობას მაინც ამოუღია ნიშანში კავკასია და ჩვენსავე სამშობლოში ჰსურს ამოგვაღრჩოს კოლონიზაციის ზღვაში!

## რუსეთ-იაპონიის ომი და ქართველ ხალხის ინტე-რესები

არ არის სამყოფი რუსეთის მეფისათვის და მის დესპოტიურ მმართველობისათვის ის მსხვერპლი, რომელსაც, უნებლიედ, ყოველ ჟამს, სწირავს რუსე-

(1) ამ პროპაგანდის სიძნელეს და უნაყოფობას მოწმო-ბენ როგორც დასავლეთ-ევროპიელი, ისე რუსეთის სოცია-ლისტები. შემდეგში დავუბრუნდებით ამ საგანს. რედ.

თის ხალხი. არ არის საკმაოდ კიშინევში ურიების
ხოცვა, ფინლანდიის გაქელვა, სომხების გაძარცვა,
ქართველების დათრგუნვა და ნამდვილ მამულიშვი-
ლების დატუსაღება, ციმბირში გაგზავნა და დახვრე-
ტა. არ არის საკმაოდ ის ეკონომიური ტვირთი, რო-
მელიც მძიმე უღლად აწევს მთელ რუსეთის ხალხს.
ბ-ნი ფონ-პლევე, ალექსეევი, ბეზობრაზოვი, ვიტტე
და ნიკოლოზ II არ დაკმაყოფილდენ ამ კაცთა ძლე-
ტით, თავიანთ დესპოტიზმის დასაფარავად და მხე-
ცურ პატრიოტულ ინსტინქტების გასაღვიძებლად გაა-
ჩაღეს ომი, რომელშიაც საქართველოს შვილთ უნდა
მორწყონ თავიანთ სისხლით მანჯურიის ველები,
თუმცა არავითარი ინტერესები არ აქვთ არც მანჯუ-
რიაში და არც კორეიაში.

თუმცა იაპონიამ პირველმა მოჰკიდა იარაღს
ხელი, მაგრამ ეს ომი მზადდებოდა თვით რუსეთის
მთავრობის მიერ თვით ალექსანდრე III-ს და ნიკო-
ლოზ II-ს დროს. ეს დესპოტები ამაყობდენ თავი-
ანთ პოლიტიკით შორეულ აღმოსავლეთში და მათის
წყალობით დღეს მიჰყავთ ბრძოლის ველზე ჩვენები
იმ ხალხის წინააღმდეგ, რომელსაც არც კი ვიცნობთ.
რუსეთის ფინანსთა მინისტრების და პოლიტიკოსების
წყალობით დღეს უნდა შევაკლათ თავი მშვიდ ოკეა-
ნის მცხოვრებთ.

ფინანსთა მინისტრი ბ. ვიტტე, ყოველ ღონეს
ხმარობდა გაეძლიერებინა და განევითარებინა კაპი-
ტალიზმი რუსეთში. ბ. ვიტტემ თითქმის უყურადღე-
ბოდ დასტოვა სოფლის საჭიროებანი და პროტექცი-
ონიზმის გაძლიერებით და სამრეწველო საზოგადოე-
ბათა წახალისებით, კონცესიების გახშირებით შეან-
მრია რუს-კაპიტალისტების წრეები და მადა გაუღვი-
ძა გაკოტრებულ თავადებს, რომელნიც ოცნებობდენ
მილიონებათ გაეყიდნათ საზღვარ გარეთ თავი-
ანთი კონცესიები მანჯურიაში ვერცხლისა და ოქროს
მადნებისა. ბაზარი უნდა მოვუპოვოთ მანჯურიაში
და ჩინეთში ჩვენს კაპიტალისტებს, თუნდ გასაყიდი
საქონელიც არ ჰქონდეთ ეხლავე,—მომავალში გამოად-
გებათო; პორტები უნდა გავხსნათ მშვიდ ოკეანეში,
თუნდ გასატანიც არაფერი გვქონდესო, ბძანებდა
ვიტტე. დააარსეს რუსეთ-ჩინეთის ბანკი, რომლის
უმთავრესი აქციონერები მეფის სასახლის წევრნი
არიან, გაიყვანეს ციმბირის რკინის გზა, რომელიც
ვითომ გზის შემოკლების გულისათვის უნდა გაეტა-
რებინათ მანჯურიაზე, ნამდვილად კი მთელი მან-
ჯურია გადასჭრეს პორტ-არტურამდინ. ამ შტოზე 20
მილიონის მაგიერ დახარჯეს **ოთხასი მილიონი**, ყვე-
ლა ეს ფული მოკრეფილი მშიერ ხალხისაგან დარჩა
მოიჯარადრების, ინჟენერების და ვიტტეს მეგობარ
მსხვილ კაპიტალისტების ხელში. რასაკვირველია ამ
კაპიტალიზმის დასამკვიდრებლად ჯარიც გაიყოლიეს,
სიმაგრეებიც ააშენეს და გემებიც ჩააყენეს მშვიდ
ოკეანეში — ყველა ამეების შენახვა დღეში უჯდება
მთავრობას ერთი მილიონი მანეთი. აი სად მიდის
ქართველ და მთელ რუსეთის ხალხის გადასახადი,
რომლის სიმძიმე წელში გვწყვეტავს.

რუსეთის დიპლომატიაც ძველებურ გზას დაადგა
— ძალმომრეობით, სიცრუით და მოტყუებით საზღვ-
რების გაფართოვებას. ჩვენს ძალას ვერვინ დაუდ-
გებაო, იძახდენ რუსის დიპლომატები და სადაც ჩად-
გავდენ ფეხს, გამოსვლა აღარ სურდათ. მართალიც
იყო; დღემდე რუსეთს ზურგს უკან არ ჰყავდა მტე-
რი და ამისთვის გულადათ მიიწევდა წინ. სპარსეთ-
ზე და ოსმალეთზე გასალაშქრებლად საჭირო იყო რუ-
სეთის დიპლომატიისათვის საქართველო. ყველამ
იცის, როგორ მოატყუილა მან ქართველი ხალხი.
ქრისტიანები ვართო და მაჰმადიანებისგან დაგიფა-
რავთო, და როდესაც გულუპრყვილმა. გაჭირებულმა
ქართველმა ხალხმა მხარი მისცა რუსეთს, მან მია-
ნება თავი ქართველებს და მისცა შესაჭმელად იმავე
მაჰმადიანებს, ხოლო, შემდეგ, დარწმუნდა რა, რომ
ქართველი ხალხი მისუსტდა, ჩაიგდო იგი თავის
ბრჭყალებში და ისევ აღმოსავლეთისკენ, სტამბოლი-
საკენ დაიწყო მსვლელობა. აგრევე სურდა მოქცეუ-
ლიყო იგი მანჯურიაშიაც, თუმცა დაჰპირდა ყველა
სახელმწიფოებს 8 ოქტომბერს 1903 წ. ჯარს გამო-
ვიყვანო, მაინც არ გამოიყვანა. ხოლო აქ, მას წინ
გადეღობა მასზედ არა ნაკლებ ქადნიერი და თავხე-
დი მოწინააღმდეგე — იაპონია, რომელიც ანაზდეუ-
ლად შეეტაკა. ასეთი გახლავთ რუსეთის დესპოტიის
გაუმაძღარი პოლიტიკა, რომელიც ომით და სისხ-
ლით იკვებება. ევროპას ატყუებს, ვითომც იგი ცივი-
ლიზაციის მომფენია დაპყრობილ მხარეებში და თა-
ვის ხალხს, გარეგნულ ძლიერებით, ომში გამარჯვე-
ბით და საზღვრების გაფართოვებით თვალს უხვევს
და ასაზრდოვებს ცრუ-ფუქსავატ პატრიოტულ თავ-
მოყვარეობას, რომელმაც იჩინა თავი ამ უკანასკნელ
ხანს რუსეთის საზოგადოებაში. იმედია ქართველი
ხალხი არ მიჰყვება მას და გამოიჩენს თავის ძალას
მაშინ, როდესაც მომენტი და საჭიროება მოითხოვს.

რასაკვირველია, არც თუ იაპონია გახლავთ უცო-
დველი თავის მოქმედებაში. ერთის მხრივ იაპონია
რუსეთთან ომში ეძებს მოიპოვოს პირველობა შო-
რეულ აღმოსავლეთში და გახდეს წინამძღოლი აზი-
ელ ხალხთა; მეორე მხრივ იაპონელი კაპიტალის-
ტები შემწყვდეულნი არიან თავიანთ კუნძულებზედ
და ეძებენ გასავალს თავიანთ ნაწარმოებისას კორე-
იასა, მანჯურიასა და ჩინეთში. კორეია მეთოთხმეტე
საუკუნეში ეკუთვნოდა იაპონიას, უკანასკნელ ჩი-
ნეთთან ომში მან დაიპყრო კორეიაც და მანჯურიაც,
მხოლოდ ევროპიელებმა დააძალეს და დაანებებიეს
თავი. რასაკვირველია იაპონია ვერ შეიწყნარებდა
მანჯურიის დაპყრობას რუსეთის მიერ. იაპონელების
ვაჭრობა კორეიაში და მანჯურიაში აღემატება რუ-
სეთისას. ცხადია, რომ კორეიაც და მანჯურიაც სა-
ჭირონი არიან იაპონელ ბურჟუაზიის განვითარები-
სათვის და მის კაპიტილიზმის ზრდისათვის.

ინგლისი თანაუგრძნობს იაპონიას, რადგან გამა-
რჯვებული რუსეთი ინდოეთისკენ მიიწევა; გერმანია
თანაუგრძნობს რუსეთს, რადგან მისი ინტერესები
შუაგულ ჩინეთშია. ბურჟუაზიულ ამერიკას სურს,
რომ ყველა პორტები ჩინეთისა ღია იყოს მის ვაჭ-
რობისათვის და გადაუწყვეტია კიდეც, როგორც უნ-
და გათავდეს ომი, ჩინეთი ხელუხლებელი უნდა დარ-
ჩესო. სხვა სახელმწიფონიც მას ეთანხმებიან. სა-

ფრანგეთის ბურჟუაზია თანაუგრძნობს რუსეთს, რადგან შეკავშირებულია მასთან და ბევრი ფული აქვს ჩაბნეული რუსეთის აქციებში, თუმცა საფრანგეთის სოციალისტებმა შრომის კონგრესზე შემდეგი დაადგინეს: «რადგან რუსეთი და იაპონია არიან ბარბაროსობის გამომხატველნი, კაპიტალიზმის დამცველნი და ადამიანობის დამჩაგვრელნი, ამისათვის მუშებმა ნება არ უნდა მისცენ საფრანგეთის მთავრობას ომში გაერიოს».

ქართველმა ხალხმაც თავისი პოზიცია უნდა დაიკავოს, უნდა გადასწყვიტოს საითკენ სურს მას წასვლა, რადგან მის შვილებსაც დააღვრევინებენ სისხლს. რასაკვირველია ყველანი ვერ შევთანხმდებით, რადგან ჩვენი თავად-აზნაურობა და «ჩინოვნიკობა» კიდევ ერთგულობას გამოუცხადებს რუსეთის მეფეს, მაგრამ უმრავლესობას და საღ ნაწილს შეუძლიან შეთანხმებულად იმოქმედოს.

რუსეთის გამარჯვება ჩვენთვის დიდ უბედურობას მოიტანს, რადგან ამით გაძლიერდება დესპოტიური მთავრობა, რომელიც გაორკეცებულის ძალით დაგვაწვება თავზედ. ომის ხარჯსაც ჩვენს კისრიდანაც ამოიღებს, რადგან ეს გამარჯვება ხარჯის მეტს ვერაფერს მოუტანს. თუ რუსეთი დამარცხებულ იქმნა და მისი მთავრობა შეუცვლელი დარჩა, არც ეგ გვიშველის რასმეს, რადგან ომის ხარჯი ჩვენზედაც იქმნება გაწერილი. მხოლოდ იმ შემთხვევაში მოგვეცემა შეღავათი, თუ დამარცხებული რუსეთის მთავრობა იძულებული შეიქმნა, როგორც ყირიმის ომის შემდეგ, აღიაროს საზოგადოების წინაშე თავისი უძლურობა, თავისი დანაშაულობა, სიდატაკე, კოტრობა, თავისი უნიჭობა სახელმწიფო საქმეების გაძღოლაში და უკუაგდოს თავისი დესპოტიზმი. რა გვექნება დესპოტიზმის მაგიერ, ესეც უნდა გავითვალისწინოთ და ამისათვისაც უნდა მოვემზადოთ, როგორადაც უნდა ვიყოთ მზათ აგრეთვე შინაურ რევოლუციისთვინაც რუსეთში.

ჩვენ ვერ დავრჩებით იმავე მონებათ, როგორიც აქამდინ ვიყავით; ვეღარ მივცემთ ნებას, რომ ჩვენი ხალხის ნაშრომი და სიმდიდრე გახდეს საკუთრებათ რამდენისამე ავაზაკისა, ვეღარ წაგვიყვანენ საკლავად ისე, როგორც ეხლა მივყევართ! ქართველი ხალხი თითონ უნდა გახდეს თავისი თავის პატრონი, რომ ყოველივე მისგან იყოს დამოკიდებული და არა რუსეთის მეფის სურვილისაგან.

## «რევოლუციონნაია როსსია» და ეროვნული კითხვა

მოგვყავს ზოგიერთი ადგილები ვრცელ წერილიდამ: «ეროვნული კითხვა და რევოლუცია», რომელიც ზემოდ ხსენებულ გაზეთში 1-ლ ნოემბერს დაიბეჭდა.

... „კავკასიაში მრავალნი ტომნი სცხოვრობენ, რომელნიც სარწმუნოებით და ეროვნებით განსხვავდებიან. სომხები და ქართველები, სპარსელები და თათრები, რუსები და ოსები, აფხაზები და ლეკები — ყველა ესენი აქ ერთად არეულები და გადაბმულები არიან. ასე რომ უნებლიეთ ახალი კითხვა იბადება, დიდი და მწვავე კითხვა: საქმე ისე უნდა მოეწყოს, რომ საერთო მჩაგვრელის და მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში სხვა-და-სხვა რევოლუციონური პარტიები ერთმანეთს არ ეხლებოდენ, ერთმანეთთან მტრობით და ქიშპობით საქმეს არ აფუჭებდენ და გამარჯვების ნაყოფსაც არ აქარწყლებდენ. და სრულიად ბუნებრივია, რომ ფედერაციულ წყობილების აზრი, იმ წყობილებისა, რომელიც ხელს შეუწყობს სხვა-და-სხვა ერთა შეთანხმებულ ცხოვრებას, უკვე ძლიერ გავრცელებულია კავკასიის რევოლუციონერ წრეებში. ინსტინკტი მათ არ ატყუებს...

... „სახელმწიფო ცენტრალიზმი, რომელიც ბიუროკრატიზმთან არის განუყრელად დაკავშირებული, ერთი უვარგისი ფორმათაგანია კლასებრივ გაბატონებისა და ამგვარ შემხუთველ ცენტრალიზმის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად საჭირო და სასარგებლო საქმეა. ფედერალიზმი, ავტონომია ადგილობრივი ფართო თვითმართველობითურთ ასუსტებს გარეგნულ ძალმომრეობის ძალას კლასებრივ სახელმწიფოსას, სახელმწიფოს ფუნქციებს ხალხს უახლოვებს...

... „ჩვენ, — ამბობს „ისკრა" (1), — უნდა ვცდილობდეთ ვიწროდ დავაკავშიროთ, დავაახლოვოთ სხვა-და-სხვა ერთა პროლეტარებიო". ჰო, რასაკვირველია, ჩვენ უნდა ვაერთებდეთ და არა ვაცალკევებდეთ. და სწორედ ამისათვის გაერთიანების იმგვარი ფორმები უნდა შევქმნათ, რომელნიც „ვიწრო" კალაპოტად, სხვანაირად არ გამოდგენ და არ შეხუთონ ერნი. ამ შემთხვევაში იმწამსვე გაჩნდება განზედ გამწევი ძალა, რომელმაც შეიძლება გასწყვიტოს ყოველგვარი კავშირი სხვა-და-სხვა ეროვნებათა პროლეტარიის პარტიებთან და დაჰბადოს მათ შორის უნდობლობა და მტრობა. განა ძმური ვიწრო კავშირი სხვა-და-სხვა ერთა პროლეტარიის შორის არსებული, იმაზეა დამოკიდებული, რომ ისინი უნდა სცხოვრობდენ ერთ სახელმწიფოს ჭერქვეშ? ებრაელების, პოლონელების და რუსების სოციალისტურ პარტიათა შორის რაღაც შეუთანხმებლობა არსებობს, მაშინ როდესაც პოლონეთის და საფრანგეთის პროლეტარიატის ურთიერთობა ინტერნაციონალიზმის პრინციპებზე უფრო გამტკიცებულია. „ისკრა" ურევს, უმოწყალოდ ურევს ერთმანეთში გარეგნულ სახელმწიფო ძალდატანებითი „გაერთიანებას" და თავისუფალ პრინციპზე აშენებულ ინტერნაციონალურ ძმობას....

„რატომ უნდა დავიცვათ, როგორც ხელშეუხებელი რამ პოლიტიკური სიმთელე და ერთიანობა ისტორიულად შექმნილ სახელმწიფოსი? რატომ უნდა გავხადოთ ღმერთად ეს „სიმთელე"?.. ჩვენ ეს არ გვესმის. რატომ არის ცუდი ირლანდიელების მისწრაფება home rul'ის მოპოებისათვის? რითი სჯობია ავსტრიის წინანდელი ერთიანობა ეხლანდელ მის დუალიზმს? და განა ავსტრიაში დამყარებული ფედერალიზმი არ ემჯობინებოდა კიდევ მრჩობლობას (დუალიზმს)? რითია კარგი სათათრეთის ერთიანობა და ცუდი სლავიანთა განთავისუფლება? რითია ცუდი ამერიკის შტატების დაარსება? რითი ემჯობინებოდა „ერთი, განუყოფელი" შვეიცარიის რესპუბლიკა ეხლანდელ კანტონებად დაყოფილს? და სხვა...

... „თანამედროვე სახელმწიფონი ზოგჯერ ისეთ ანორმალურ მოვლენას, ერთიანობას წარმოადგენენ, რომ ჩვენ ვერ გაგვიგია, რატომ უნდა ვაკანონებდეთ ამგვარ ცენტრალიზმს. ჩვენ იმის თქმა არ გვინდა, რომ უსათუოდ ყოველი ეროვნება დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებისაკენ უნდა მიისწრაფოდეს, ზოგჯერ, სოციალურ პროგრესის განვითარებისათვის, საჭიროა ამგვარი სახელმწიფოების დაარსება, ზოგჯერ ფედერაციული წეს-წყობილება ამჯობინებს, ზოგჯერ სრულიად საკმარისია ადგილობრივ თვითმმართველობის მინიჭება. ხოლო იმ ხალხისათვის, რომელსაც ტერიტორია არა აქვს, თავისებური ფორმა კორპორატიულ თვით-მმართველობისა უნდა დაარსდეს, რათა ამ ორგანოების საშუალებით შეეძლოს თავის კულტურულ ძალის განვითარება. ჩვენ არა გვაქვს ისკრისებური მისწრაფება „სახელმწიფო ერთიანობისადმი, სახელმწიფო ცენტრალიზმისადმი"... ჩვენ არა გვაქვს ერთი გადაწყვეტილი ზოგადი აზრი ყველა ეროვნების მდგომარეობის გადასა-

(1) რუსეთის ს.-დემოკრატთა ოფიციალური ორგანო.

წყვეტად. ეროვნული კითხვა გარემოების დაგვარად უნდა გადაწყდეს და ამ კითხვის გადაწყვეტაში უმთავრესი ხმა თვით დაინტერესებულ ერს უნდა ჰქონდეს მინიჭებული"...

## მეგრელებს

შესრულდა, რაც კაი ხანია მოსალოდნელი იყო.

რუსის მთავრობამ განდევნა სამეგრელოდან ქართული ენა. მთავრობის ღირსეულმა წარმომადგენელმა — რუსის სამღვდელოებამ განახორციელა დიდი ხნის განზრახული წადილი: სამეგრელოს სამრევლო სკოლებში აღკრძალა ქართული ენა და მის მაგიერ გააბატონა რუსული!

რუსის სამღვდელოება, რომელიც თავის სამშობლოში ფეხით თელავს იესოს მოძღვრებას, ყურმოჭრილი მონაა დესპოტიისა და მტარვალობისა, რომელიც გუნდრუკს უკმევს მოწამეთა სისხლით შეღებილ ტახტს რუსეთის იმპერატორისას, რომელსაც ერთი ხმა, კრინტი არ დაუძრავს მეფისა და მის მინისტრების ათასის უსამართლობის წინააღმდეგ, — ეს გახრწნილი სამღვდელოება საქართველოში პოლიტიკოსობს, უმაღლეს პოლიტიკას ემსახურება, — ქართველების გარუსება სწადია! «ღვთის მსახურნი, ქრისტეს მოძღვარნი ქართველი ერის «გასარათლებლად» ვართ მოწვეულნიო». თვითონ დაცემულთ, თვითონ უკულტუროთ, თვითონ გაუნათლებელთ — უნდათ ჩვენი ამაღლება და განათლება?!

ვოსტორგოვს, ეგზარხოსს ალექსის და მის მსგავსთა სულით დატაკებს შეუძლიათ სადმე სიკეთე შეიტანონ? ზნეობით დაცემულებს შეუძლიათ ვისიმე ზნეობით ამაღლება! ბნელით მოცულებს, ბრმებს, უსინათლოებს შეუძლიათ ვისიმე განათლება? ან ადამიანის დასახიჩრება, ენის მოსპობა, სულის შეხუთვა — იქნება განათლება?

ოდესღაც დიდებულს ქართულს ეკლესიას, რომელსაც განაგებდენ და ამშვენებდენ მაღალის გონების და სპეტაკი ზნეობის სულიერნი მამანი, დღეს დაეპატრონენ ვიღაც ვოსტორგოვები! დაეპატრონენ, და ქართული ეკლესია ქართული ენის მოსასპობ და გასანადგურებელ ასპარეზად გახადეს. ქართველ ერის მტერი შეიქმნა ის ეკლესია, რომელიც იწამა ქართულმა ეკლესიამ, განამკვა ქართული ენა, ის ენა, რომლისთვისაც იღვწოდა იგი მრავალ საუკუნოების განმავლობაში!

ასე შეიცვალა ყველაფერი? ასე დაეცა ქართველი ერი, აღარსად არის სული, რომელმაც იგრძნოს ასეთი ძალმომრეობა, ასეთი დაგმობა ყოველის სამართლისა?

«მეგრელები ქართველები არ არიან, ქართული ენა მეგრელთა ენა არ არისო». მერე ვინ გაჰყო ერთი ქართველი ერი? ვინ გათიშა სხვა-დი-სხვა თემისაგან შემდგარი ერთი ქართველი ერი? განა ერთს ენაზე არ უქადაგებდენ სახარებას მეგრელს, იმერელს, გურულს, ქართლელს, კახელს, მესხს? ერთ ენაზე არ ლოცულობდა მათი ეკლესია? ერთს ენაზე არ სწერდენ მათი მწერლები? ერთის ენით არ უნაღებდენ ერთმანეთს თავიანთ წუხილს, დარდს, სიხარულს და ბედნიერებას? ერთი არ იყო მათი წარსული, ერთი არ ყავდათ გმირები? განა რუსთაველი საერთო არ არის მათთვის? განა თამარი, დავით აღმაშენებელი, ერთნაირად არ უყვარს ყველას, ყველასათვის ერთნაირად ძვირფასი არ არიან? ერთი არ არის მათთვის ეროვნული თავისუფლება?

მეგრელი ქართველი არ არის, ქართველი სულით და გულით? განა ეს საეჭვოა, ეს სადავოა და ეს არ იცის რუსის მთავრობამ და მისმა სამღვდელოებამ? იცის და ძლიერ კარგადაც იცის, მაგრამ ვითომ თავს იმართლებს და თუ დღეს სამეგრელოში უნდა გახადოს რუსული ენა მეგრელთა «დედა-ენათ», დაავიწყოს სამეგრელოს ქართველებს ქართული ენა, ხვალ საქართველოს სხვა ნაწილებიდანაც განდევნის ქართულს ენას, სხვა ქართველებზედაც იხმარს უსინიდისო ძალ-მომრეობას!

აშკარაა მისი პოლიტიკა, აშკარაა მისი წადილი: უნდა ქართველები ერთიან გადააგვაროს-გაარუსოს, უნდა ქართული ენა ძირიანად მოსპოს!

დრო არის, თვალები გავახილოთ, გონება მოვიკრიბოთ, ხმა ამოვიღოთ! თორემ რამდენს მეტს გავჩუმდებით, უფრო და უფრო დავეცემით, უფრო და უფრო დაგვჩაგრავენ. შეუძლებელია წაყრუება იქ, სადაც უძვირფასეს უფლებას გვართმევენ, შეუძლებელია დამუნჯება, როდესაც ენას გვისპობენ! თუ ეხლა გავჩუმდით, მალე მოვესწრებით იმასაც, რომ საკუთარ სახლშიაც აგვიკრძალავენ სამშობლო ენაზე ლაპარაკს.

ბევრი სიმწარე, ბევრი უსამართლობა, ბევრი შევიწროება გვრგებია რუსის დესპოტიურ მთავრობისაგან, ვითმენდით, რადგან საოცარი მოთმენის ნიჭი მოუცია ღმერთს ჩვენთვის, მაგრამ როდესაც გვართმევენ ენას და ამით ძირში გვისპობენ ეროვნებას, გაჩუმება და მოთმენა სიკვდილია. თვითონ მთავრობა გვეუბნება — «სიკვდილიო», როდესაც დევნის ჩვენს ენას. ნუ თუ უნდა ვუპასუხოთ ჩვენც: სიკვდილიო? არა! ჩვენი ერთად ერთი პასუხი უნდა იყოს: ბრძოლა, მხოლოდ ბრძოლა და ბრძოლა!

ათ წილ გვირჩევნია, აწამონ ჩვენი სხეული, უკანასკნელი წვეთი სისხლი არ შეგვარჩინონ, ვიდრე დავუთმოთ ჩვენი ენა — ქართველი ერის უძლიერესი ბურჯი, ჩვენი უძვირფასესი ენა, რომელიც შეუქმნია ჩვენს მრავალფეროვანს მშვენიერს ბუნებას, რომელსაც მრავალ საუკუნოების განმავლობაში ასაზრდოებდა ჩვენი მრავალ-ტანჯული, მდიდარი წარსული, რომელიც სულია ქართული ეროვნების, სულია ყოველი ქართველის, რომელიც საყვარელია ოსმალეთის და სპარსეთის გადარჯულებულ ქართველისთვისაც კი!

არა, ჩვენ ვერ დავთმობთ ჩვენს საყვარელს, მდიდარს, მშვენიერს ქართულს ენას! ვიბრძოლოთ მისთვის, — ეს ჩვენი წმინდა მოვალეობაა!

სამეგრელოს ქართველებო! თქვენ მოგმართავთ ყველაზე უწინარეს. თქვენ არა ერთხელ დაგიმტკიცებიათ, როგორ ღრმათ გიყვართ სამშობლო ქართული ენა, არა ერთხელ გამოგიცხადებიათ წინააღმდეგობა, როდესაც მთავრობას მოუნდომებია ქართული

ენის გამოდევნა სამეგრელოს ეკლესიებიდან. დღეს ქართული ენა გამოძევებულია სკოლებიდან : რუსის მთავრობას უნდა ბავშვობიდანვე დაგავიწყოსთ სამეგრელოს ქართველებს ქართული ენა, უნდა პატარაობიდანვე ჩამოგაშოროსთ თქვენ ქართველს ერს, უნდა დააუძლუროს ქართველი ერი, გადააგვაროს და გაანადგუროს ჯერ ერთი ნაწილი, რომ მერე შეუდგეს დანარჩენ ერის მოსპობასაც. თქვენ არ გაჩუმდებით დღეს და მხნეთ გაუწევთ წინააღმდეგობას მთავრობის ძალ-მომრეობას : ქართული ენა თქვენი სისხლი და ხორცია, და არავის არ დაუთმობთ მას ! თქვენს შვილებს არ მიაბარებთ იმ სკოლებში, საიდანაც გამოდევნილია ქართული ენა. ის სკოლა ვერ აღზრდის თქვენს შვილებს, რომელმაც დედა-ენა უნდა დაავიწყოს მათ ! თქვენ არ მიეკარებით, არ შეხვალთ იმ ეკლესიაში, სადაც რუსულათ სწირვენ და ლოცულობენ : ღვთის ხმა არ ისმის ისეთ ეკლესიაში, არამედ მხოლოდ მონობას გვიქადაგებენ ! თქვენ მოითხოვთ, რომ სამშობლო ქართული ენა იქმნეს გაბატონებული თქვენს სკოლებსა და ეკლესიებში, სასამართლოებსა და სხვა დაწესებულებებში ! თქვენი ცხოვრება, განათლება და წარმატება შეუძლებელია უქართულენოდ. თქვენ დაჰგმობთ და დასჯით ყველა მოძმეს, ვინც გიღალატებსთ, შეიქმნება იუდა გამცემელი, მიემხრობა რუსის მთავრობას და არ მოითხოვს ქართულ ენას !

წინ მედგრათ და თამამათ, მთელი ქართველი ერი თქვენთანაა !

ბრძოლა დღეს, ბრძოლა ხვალ, ბრძოლა ზეგ, გამუდმებული ბრძოლა ქართულ ენისთვის, ქართულ ეროვნებისათვის, ეროვნულ თავისუფლებისათვის !

გაუმარჯოს ასეთ წმინდა ბრძოლას !

გაუმარჯოს თავისუფალ ცხოვრებისათვის მებრძოლთ !

## დემოკრატიზმი და სოციალიზმი

ძველსა და თანამედროვე საქართველოს შორის განსხვავება, რასაკვირველია, დიდია. ძველად პოლიტიკურად დამოუკიდებლად ვიყავით, ხოლოც ბატონყმობა სჩაგრავდა შვენს ხალხს. ახლა პოლიტიკურად დამონებულნი ვართ, ბატონ-ყმობა თითქმის გაუქმებულია, მაგრამ ჩვენი ხალხი წელში მაინც მოხრილია, მაინც იჩაგრება ეკონომიურად. რა სჯობია, ძველი თუ ახალი, ამის გარკვევას ამ ჟამად არ გამოვუდგებით. ჩვენთვის საკმარისაა ის შეგნება, რომ თანამედროვე ჩვენი ყოფა და მდგომარეობა ფრიად მძიმე ასატანი ტვირთია ქართველ ხალხისათვის. ქართველი ხალხი, დღევანდელ პირობებში, ეკონომიურადაც არის დატყვევებული და დამონავებული, და პოლიტიკურადაც.

ვერ ვიტყვით, ვითომ პოლიტიკური დაჩაგვრა შედეგი ყოფილიყოს ეკონომიურ დაჩაგვრისა — ჩვენ დაგვიმონა რუსეთის თვით-მპყრობელობამ და არა რუსეთში ეკონომიურად ძლიერმა კლასმა — ბურჟუაზიამ. თვით-მპყრობელობამ, ამ ფეოდალურმა გადაბიჯებულმა ფორმამ პოლიტიკურ მმართველობისამ შეჰქმნა ბიუროკრატია და მუდმივი ჯარი თავის ძალის გასამტკიცებლად. ამ ორ ელემენტზეა დამყარებული მისი ძალა. და რადგან არც ბიუროკრატია, არც ჯარი ეკონომიურ კლასს არ წარმოადგენენ, არამედ აბსოლუტიზმის კრეატურას, ამიტომ შეიძლება ითქვას, რუსეთის აბსოლუტიზმი არც ერთ კლასის გარდა თავის თავის გამომსახველი არ არის, იგი არც ერთ კლასზედ არ არის დაყრდნობილი. და სწორედ ამ გარემოებაში იმალება მისი სიკვდილის აუცილებლობა. იგი არ არის და ვერც იქნება ყველა წოდებათა და კლასთა ინტერესების წარმომადგენელი, იგი არ არის რომელიმე განკერძოებულ წოდების ინტერესთა გამომსახველი. და ამრიგად ცხოვრებიდამ გარიყული, განკერძოებული აბსოლუტიზმი ბიუროკრატიას და ჯარს შეჰყურებს, როგორც თავის დამცველებს.

თუ რუსეთის პოლიტიკური ძალა ბურჟუაზიის ხელში გადავიდა, ჩვენი პოლიტიკური დამონება შეიძლება არ შეიცვალოს, ხოლო უფრო კი მოსალოდნელია, რომ შეიცვლება (ეს ჩვენს მხნეობა-ერთობაზედ იქმნება დამოკიდებული). ბურჟუაზია მხურვალე მცველი და დარაჯია კერძო საკუთრების და ეკონომიურ უთანასწორობის პრინციპისა. რაიც შეეხება პოლიტიკურ უფლებათა გაფართოვებას, იგი ხშირად მისი წინააღმდეგი არ არის. მაგალითად, ევროპაში ბურჟუაზიული დემოკრატია მომხრეა ხალხის პოლიტიკურად თანასწორობისა. შვეიცარიის კონფედერაცია ბურჟუაზიის ხელშია. ბურჟუაზიულმა ინგლისმა ავტონომია მიანიჭა კანადას და ავსტრალიას. ავსტრალიამ, სადაც ჯერ კიდევ ბურჟუაზიის ხელშია ძალა, კონფედერაცია დააწესა. გლადსტონის აზრი იყო ინგლისის ავტონომიურ ნაწილებად დაყოფა (შოტლანდია, ვალისა, ინგლისი, ირლანდია და სხ.) და ამ ნაწილების ფედერაციულის კავშირით დაკავშირება. ერთის სიტყვით, ბურჟუაზია პრინციპიალურად არ არის წინააღმდეგი ამგვარის პოლიტიკურ ფორმებისა, როგორც ავტონომია, ფედერაცია და სხვა ამგვარია. ამიტომაც შეიძლება გამარჯვებულმა რუსეთის ბურჟუაზიამ იმგვარი პოლიტიკური ფორმა დაგვითმოს, რომელიც ჩვენს პოლიტიკურ განვითარებას ხელს შეუწყობს. აი სწორედ ამიტომაც ვამბობთ ჩვენ, რომ ყოველთვის არ ითქმის, ვითომც პოლიტიკური დამონება მუდამ ჟამს შედეგი ყოფილიყოს ეკონომიურ ცხოვრების უთანასწორობისა.

ბურჟუაზია რატომ არის ხოლმე ამ მხრივ გულუხვი, რატომაა იგი ხშირად მომხრე თავისუფალ პოლიტიკურ ფორმებისა ? იმიტომ, რომ ყოველივე ეს დიდ რევოლუციის ტრადიციებია ; განსაკუთრებით კი იგი დარწმუნებულია, რომ თავისუფალ პოლიტიკურ ფორმების მინიჭებით იგი თავის ეკონომიურ ძალას არ დაჰკარგავს. ხალხს, შეიძლება ყოველგვარი პოლიტიკური უფლება ჰქონდეს მინიჭებული (როგორც საყოველთაო არჩევანის უფლება, რეფერენდუმი, დაკანონებული გაფიცვა, სავალდებულო მედიატორობა მუშათა და კაპიტალისტთა შორის), ხოლო ამ უფლებათა მინიჭებით მაინც და მაინც არც ხალხის ეკონომიური მდგომარეობა უმჯობესდება, არც შეძლებულ კლასის ძლიერება ირყევა. ამისი მაგალითი თანამედროვე პარლამენტალური ევროპაა, სადაც « ადამიანთა და მოქალაქეთა უფლებათა » აღიარების და პოლიტიკურ თანასწორობის დამყარების შემდეგ, კლასთა შორის ეკონომიურ განხეთქილება ისე გამწვავდა, რომ მუშა ხალხის მდგომარეობა ისევ უნუგეშო და სავალალო მდგომ-

რეფორმად დარჩა. აშკარაა, რაღაც სხვაში იმალება ამგვარ მოვლენათა მიზეზი და არა პოლიტიკურ ფორმებში.

რასაკვირველია, ყველა ამით იმისი თქმა კი არ გვინდა, ვითომ ხალხის ცხოვრებაში პოლიტიკურ ფორმებს მნიშვნელობა არა ჰქონდეთ. ეჭვი არ არის, პარლამენტარიზმს აქვს და ყოველთვის ჰქონდა საღი მხარე. ხალხის «სუვერენიტეტი», ადამიანის აღიარება ადამიანად, ლაპარაკის, შეკრების, აზრის და პრესის თავისუფლება — ყოველივე ეს დიდი განძია, რომელიც თავისუფალ პოლიტიკურ ფორმების საშუალებით შეძენილი აქვს განათლებულ კაცობრიობას. ამას არც უარვყოფთ, პირიქით იმისი მოსურნენი ვართ, რომ ამგვარი პირობები ჩვენშიაც დამყარდეს. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ პარლამენტარიზმს ჯერ ვერ გადაუწყვეტია სოციალური კითხვა და თითქოს უძლურიც არის გადასწყვიტოს იგი, რომ თანამედროვე ცხოვრებაში პოლიტიკურ თანასწორობასთან ერთად ეკონომიური უთანასწორობა არსებობს და რომ ერთი მეორესთან ხშირად ლოღიკურად არ არის დაკავშირებული.

* * *

ეს გარემოება ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში. ჩვენ მხურვალე მომხრენი ვართ საქართველოს ეროვნულ თვით-მმართველობისა, მხოლოდ არასოდეს არ გვავიწყდება, რომ ჩვენებურ ეროვნულ პარლამენტის წინაშეც წარმოსდგება გადასაწყვეტად იგივე მწვავი ეკონომიური კითხვა და ჩვენი პარლამენტიც უნებლიედ გამოაჩენს იმავ სისუსტეს. ეროვნული თვით-მმართველობა, « home rule »-ი დაიცავს ჩვენს ეროვნულ ვინაობას და მის განვითარებისათვის კულტურულ პირობებს შექმნის, იგი დემოკრატიულ ხასიათის ყველა რეფორმებს განახორციელებს, (როგორც ამას ვხედავთ, მაგალითად, შვეიცარიაში), მხოლოდ დიდად საფიქრებელია, რომ მან მოსპოს ჩვენს ცხოვრებაში არსებული ეკონომიური უთანასწორობა და კლასთა ბრძოლა. ამისი მიზეზი იმალება ეკონომიურ ცხოვრების უთანასწორობის თვისებაში. ამ უთანხმოების და წინააღმდეგობის *ძირითადი* მიზეზი კერძო საკუთრებაა. დღევანდელ პირობებში შრომა საზოგადოა, შრომის ნაყოფის სარგებლობა კი კერძოა. რაც გინდ გააუმჯობესოთ მშრომელ კლასის მდგომარეობა, უთანხმოებას მაინც ვერ მოსპობთ, სანამ ამ უთანხმოების მიზეზს (კერძო საკუთრებას) არ ამოუთხრით ძირს. ხოლო კერძო საკუთრების გაუქმება ვერც ერთ პარლამენტს ვერ უკისრია და საეჭვოც არის, რომ *რევოლუციის დაუხმარებლად* მომავალში მაინც იკისროს.

* * *

რათა ნათელ ვყოთ ის აზრი, რომ სოციალურ პირობების გაუმჯობესებით ხშირად არ სუსტდება კლასთა შორის არსებული ბრძოლა, პირ-იქით ზოგიერთ შემთხვევაში უფროც მწვავდება, დავაკვირდეთ ჩვენებურ სოფლელ კაცის ცხოვრებას. ბ. ვიტტეს ფინანსთა მინისტრად ყოფნის დროს კავკასიაში განახორციელეს ერთი პროგრესიული და დემოკრატიულ ხასიათის რეფორმა. წინად, როგორც მოგეხსენებათ, საკომლო გადასახადი არსებობდა ჩვენში და ამ საკომლო გადასახადს თ.-აზნაურობა არ იხდიდა. ეხლა საკომლო გადასახადი გააუქმეს და შემოიღეს მამულის რაოდენობის მიხედვით საყოველთაო გადასახადი. პირველის შეხედვით ეს წესი ფრიად სამართლიან წესად უნდა ეჩვენოს ადამიანს. მაგრამ ამ რეფორმის განხორციელების შემდეგ სწორედ ის აღმოჩნდა, რასაცა ხშირად ვხედავთ ევროპაში მუშათა და კაპიტალისტთა მორიგების დროს. ქარხნის პატრონი ხანდისხან მოუმატებს ხოლმე მუშებს სამუშაო ფასს ან სამუშაო დროს დაუკლებს, იმათის მოთხოვნილებისამებრ, ანუ სამედიატორო განაჩენის მიხედვით, მაგრამ სამაგიეროდ ამ დაკლებულ სამუშაო დროს განმავლობაში ან უფრო მძიმედ ამუშავებს, რათა წაგება არ ნახოს, ან კიდევ მეორე პროფესიის მუშებს დაუკლებს ხოლმე სამუშაო ფასს, რათა იზღას დანაკარგი. მუშები გაკვირვებულნი არიან, ეს როგორ მოხდა, ნაკლებ დროს ვმუშაობთ, ხოლო, წინანდელზედ უფრო ვიღლებით და ვიქანცებითო. მაშ სამუშაო დღის შემოკლება თვალთმაქცობა ყოფილა, სხვა არაფერიო! სწორედ იგივე აზრები დაებადათ ჩვენებურ გლეხებსაც ახალ რეფორმის შემოღების შემდეგ. ყური დავუგდოთ ერთ ფრიად საინტერესო კორესპონდენციას კავკასიის ერთ ადგილობრივ გაზეთში დაბეჭდილს:

„მოგეხსენებათ, ამ უკანასკნელ წლებში მთავრობამ თ.-აზნაურთაც შეაწერა მამულის გადასახადი, მაგრამ ფაქტიურად ეს გადასახადი ერთი ორად, მეტად თუ არა, ისევ გლეხებს დააწვათ, რასაკვირველია, იმ გლეხებს, რომლებსაც საკუთარი მამული არ გააჩნიათ და სხვის მამულით სცხოვრობენ. წინად მამულის პატრონი მამულის დამუშავებაში მესამედს და მეოთხედს მოსავლისას სჯერდებოდა გლეხს, ეხლა ნახევარს ართმევს და მიზეზად მთავრობის მიერ შეწერილს გადასახადს ასახელებს. მერე ეს ნახევარი მოსავლისა რას შეადგენს, ნამდვილად უდრის მთავრობის მიერ მემამულეზე შეწერილს გადასახადს? მკითხველო. იქნება არ იცი, რა დიდი უსამართლობა ჩამოვარდა ამ გადასახადის შემოღების შემდეგ. აი ფაქტი. თ.-აზნაურთა მამულზე შეწერილი გადასახადი 40 კაპეიკს არ აღემატება დესეტინაზე. მემულებაც დესეტინაზე ორი აბაზი გადასახადი რომ მოსთხოვოს გლეხს და დანარჩენი პირობები მათ შორის რომ წინანდელი დარჩეს, გლეხი არ ინაღვლიდა; საქმეც ისაა, რომ სხვის მამულში მომუშავე გლეხი ამ ორ აბაზის მაგივრად იხდის... ერთ მანეთამდის. აი როგორ: ერთ დესეტინა მიწაზედ, მაგალითად, საშუალოთ რომ ვიანგარიშოთ, მოდის 12 კოდი პური. წინანდელ პირობაზე, სანამ ეს გადასახადი დაწესდებოდა, ამ ერთის დესეტინის მოსავლიდამ ე. ი. 12 კოდიდამ, მესამედი ანუ 4 კოდი მემამულეს მიჰქონდა ლალად. ეხლა კი, რაც გადასახადის სახელით მემამულეებმა სანახევროდ გახადეს სახნავ-სათესი მიწები, გლეხი იძულებულია 12 კოდიდამ ნახევარი ე. ი. ექვსი კოდი მემამულეს მისცეს. მემამულეს ორი აბაზი შეაწერეს გადასახადი დესეტინაზე და ამის გულისთვის გლეხი ეხლა ორი კოდით მეტს იხდის, ვიდრე წინად. ორი კოდი პური რომ ჩავაგდოთ, საშუალო მაზანდით კოდი სამ მანეთობაზე, თორემ უფრო ხშირად ოთხიც ღირს ხოლმე, — ეღირება 6 მანეთი. ამ ექვსი მანეთიდამ მემამულე ორ აბაზს ხაზინას აძლევს და დანარჩენი 5 მან. და სამი აბაზი, გლეხის კისრიდამ გადასახადის სახელით აღებული, მას რჩება. როგორც ჰხედავთ, ეს გადასახადი პრაქტიკულად დიდად სასარგებლო გამოდგა მემამულისათვის, ხოლო გლეხისათვის ფრიად საზარალო, თუ მეტი არა. უმთავრესად ამ გარემოებამ გამოიწვია ბოლოს დროს სოფლად გლეხთა უკმაყოფილება", — დასძენს თავის წერილს კორესპონდენტი.

* * *

ამრიგად, სოციალური ხასიათის რეფორმამ, რომელსაც აზრად გლეხთა მდგომარეობის გაუმჯობესება ჰქონდა, ვერ მოიტანა მოსალოდნელი ნაყოფი. ამის მიზეზს თვით ეკონომიურ ცხოვრების *ძირო-*

თად წინააღმდეგობაში უნდა ვეძებდეთ. კერძო საკუთრება იმგვარი ძლიერი იარაღია კაცის ხელში, რომ მის საშუალებით ათასნაირად შეიძლება კანონის მოტყუება. აქაც ჩვენ იმისი თქმა არ გვინდა, ვითომც დემოკრატიულ ხასიათის ყველა რეფორმებს ამგვარი უნაყოფო ხასიათი ჰქონდესთ. არა, ჩვენი აზრი ის არის, რომ დემოკრატიული რეფორმები არა სპობენ ძირითად წინააღმდეგობას და კლასთა ბრძოლას. დემოკრატიული რეფორმები ხალხს ბრძოლისათვის იარაღს აძლევენ, ამიტომაც იქ, სადა ხალხი მოკლებულია ყოველნაირ საშუალებას თავი დაიცვას, ამ რეფორმების განხორციელება სასურველია. ამიტომაც აღვნიშნეთ ჩვენს ეკონომიურ პროგრამაში ამგვარ რეფორმების განხორციელების საჭიროება. მაგრამ მაშინაც ვამბობდით და ეხლაც ვიმეორებთ, რომ ჩვენ სხვა უფრო დიადი იდეალი უნდა გვქონდეს სახეში, ხალხი ეკონომიურად სრულიად უნდა განთავისუფლდეს და ეს მისი განთავისუფლება საფუძვლად დაედება ქართულ ეროვნების კულტურულ აღორძინებასაც.

შემდეგ წერილში მოვილაპარაკებთ იმის შესახებ, თუ რა ადგილი უნდა ეჭიროს გლეხთა მდგომარეობის კითხვას მებრძოლ პოლიტიკურ პარტიის პროგრამაში.

---

## სომხების რევოლუციონურ ორგანომ

## « დროშაკ » -მა

დაბეჭდა სომხურ ენაზედ შემდეგი წერილი ჩვენის ჟურნალის შესახებ (№ 9—10) :

„1903 წ., 1 მაისს, პარიზში დაარსდა ახალი პოლიტიკური ჟურნალი, « La Géorgie » (საქართველო), რომელიც იბეჭდება ქართულ და ფრანგულ ენებზე.

ამ ჟურნალის მიზანია გაუღვიძოს ქართველებს ეროვნულ-მოქალაქობრივი გრძნობა და აგრეთვე მოუმზადოს ნიადაგი საქართველოს ავტონომიას ; მოიპოვოს მორალური თანაგრძნობა ევროპაში და დაუახლოვოს შეგნებული ქართველები რუს ლიბერალებს და სოციალისტებს, რომელნიც ებრძვიან რუსეთის დღევანდელ რეჟიმს.

ვინც კი რამოდენიმედ იცნობს კავკასიას, და განსაკუთრებით ქართველ-სომეხთა დამოკიდებულებას, ის უეჭველად აღტაცებით მიეგებება ამ ჟურნალის პროგრამას.

დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ბევრს ჩვენგანს გვაოცებდა ის ფაქტები, რომლებიც ჩვენს თვალწინ ხდებოდა და ვერ გაგვეგო, რა მიმართულება ჰქონდა და ან საითკენ მიილტვოდა ქართველი საზოგადოება : შეგნებულად მიდიოდა იგი თვით-მკვლელობის გზაზე თუ, მოხერხებულ ინტრიგანების მიერ წაქეზებული, მხოლოდ შეუგნებელი იარაღი იყო მათ ხელში ? ყოველკვირეულ ჟურნალ „კვალის” თანამშრომლების პატარა წრის ხმა, უჩვეულო სიტყვები, რომლებიც ისმოდა ხანდახან მუშათა ჯგუფებში, თვით ფრთხილად გამოთქმული აზრები გაზ. „ცნობის ფურცლის” სტატიებში — ყველა ეს შეუმჩნევლად რჩებოდა საერთო მიმართულებაში, რომელშიაც მარტო ერთ კითხვაზე იყვნენ გადაყოლილნი ; ეს იყო — სომხებისადმი სიძულვილი, სურვილი მისი ჩანერგვისა ქართველებში. ქავჭავაძენი და წერეთელნი, ეს ქართველ საზოგადოების „მნათობნი”, ერის „საუკეთესო ძენი” და მათი შეუგნებელი ამალა, ხნიერნი თუ ახალგაზდანი, ხელს უწყობდენ ისეთ ჯამუშების სურვილების განხორციელებას, როგორიც ველიჩკო და გოლიცინი იყვნენ, კავკასიის, როგორც დამოუკიდებელ და ორიგინალურ ქვეყნის, სხვა-და-სხვა ეროვნების აკვნის გაქელვა-განადგურებაში.

ამიტომაც „საქართველოს” ჯგუფი, რომელმაც დღეს აირჩია თავის სამოქმედო ასპარეზად ერების კავშირი, კავკასიის საერთო ინტერესები და ქართველ ერის დამოუკიდებლობის გამოცხადება — დარწმუნებული უნდა იყოს, რომ ჩვენ გულწრფელად თანავუგრძნობთ.

ჩვენ ვუსურვებთ „საქართველოს” საჭირო ენერგიას და სიმტკიცეს, სერიოზულ ორგანიზაციის მისაღწევად, რათა მან შეიძლოს საქართველოს და საზოგადოთ მთელ კავკასიის აღორძინებაში თვალსაჩინო როლის ასრულება”.

შემდეგ ავტორი უხსნის რა მკითხველს « საქართველოს » მიმართულებას და მის პროგრამას, განაგრძობს :

„ეროვნულ ავტონომიის პრინციპების განხორციელებაში, „საქართველოს” რედაქტორები ჰხედავენ ერთად ერთ საშუალებას ქართველ ერის წინმსვლელობის და აღორძინებისას და ერთად ერთ საშუალებათ, რომელიც აკმაყოფილებს თავისუფლების პრინციპებს, სთვლიან რუსეთის განვითარებას. ამიტომ ურჩევენ რუსეთის რევოლუციონურ, ლიბერალურ და ს.-დემოკრატიულ პარტიებს, საერთო მოქმედების დაწყებამდე, ამ კითხვების შესახებ შევთანხმდეთო.

როგორც მოსალოდნელი იყო, რუსის პარტიების აზრი, ამ კითხვის შესახებ, ერთნაირი არ გამოდგა. ლიბერალებმა თავიანთ ჟურნალ „ოსვობოჟდენიე”-ში გამოსთქვეს ის აზრი, რომ, თუმცა ისინი გულით თანაუგრძნობენ ამ ახალ მოძრაობას, მაინც უარს ამბობენ ახლავე პასუხის მიცემაზე, რადგან, მათის აზრით, ეროვნული კითხვა უძნელესი პრობლემათაგანია.

ს.-დემოკრატები, რომელთა ორგანოც „Искра” არის, რეტროგრადულად სთვლიან ყოველ სოციალურ მოვლენას, რომელსაც მიზნათ მარტო მუშათა კლასის დაცვა არა აქვს. ამიტომ მათ, ქართველების წინადადებაზე, რასაკვირველია, არა უპასუხეს რა.

მართალია, თავიანთ მეორე კრებაზე, ს.-დემოკრატებმა უფრო ამკარათ გამოთქვეს თავიანი აზრი. ისინი დათანხმდენ, რომ პრინციპები, სხვა-და-სხვა ერების ავტონომიის და სხვა-და-სხვა ენების თანასწორი უფლების, როგორც სკოლებში, ისე ადგილობრივ, სოციალურ და ადმინისტრაციულ დაწესებულებებში — მისაღებია, მაგრამ, ძნელი წარმოსადგენია, რომ პატარა ერებს შეეძლოსთ მათთან ხელიხელ გაყრილი მუშაობა ს.-დწმოკრატებთან, რომლებიც ყოველთვის უარზე დგანან პოლონურ და ებრაულ სოციალურ ორგანიზაციებთან ფედერალურ ნიადაგზე შეთანხმდენ და შეერთდენ.

საბედნიეროთ, რუსულ რევოლუციონურ ჯგუფებშიაც არიან ამ ახალ მოძრაობის მომხრენი. მათ გაიგეს, რა დიდი მნიშვნელობა აქვს ეროვნულ კითხვას და საკუთარ ნიადაგზე დაამყარეს იგი.

რუსეთის სოც.-რევოლუციონერების ორგანო : „რევოლუციონნაია როსია”, სამართლიანობის იდეებით გამსჭვალული, შესაძლებელად ხადის პატარა ერების ავტონომიას და მათს რუსეთთან დამორებასაც კი ; ის აღიარებს, რომ ეროვნულ ორგანიზაციების არსებობა სასარგებლოც არისო, და საჭიროდა სთვლის მათს დახმარებას რუსეთის დღევანდელ რეჟიმის დასამხობად.

იმედია, რუსის ყველა დანარჩენი რევოლუციონერებიც არ დააყოვნებენ ამ მიმართულების სასარგებლოდ ხმის ამოღებას და გაავრცელებენ საერთო მოქმედების იდეებს რუსის საზოგადოების ყველა კლასებში”......

„დიდი ხანია რაც რუსთა რჩეულმა ნაწილმა გადასწყვიტა, რომ პატარა ერებს ავტონომიის უფლება უნდა ჰქონდესო, მაგრამ ამაზე ისინი ზერელათ სჯიდენ, ამ პლანს მათს საზოგადო სარეფორმო პროექტებში კნინი ადგილი ეჭირა, თითქო ეს რაღაც უმნიშვნელო ყოფილიყოს, რაღაც გვერდზე მიკერებული სხვა რამ, შედარებით უფრო მნიშვნელოვან მიმდინარეობაში.

ამიტომაც მოხდა 1860 წელს, გერცენისებური ლიბერალების წინააღმდეგობის მიუხედავად, რომლებიც პოლონეთის დამოუკიდებლობას თხოულობდენ და რომლებიც უარყოფილნი იყვნენ ყველა მათ მომხრეთა მიერ, რუსის მოწინავე პარტია გაჩუმებული იყო და ამ სიჩუმემ შეაძლებინა რუსის მთავრობას პატარა ერების ნანგრევებზე თავის ბატონობა განემტკიცებინა ცეცხლითა და მახვილით.

მონარქიული წეს-წყობილების ძალა რწმენისა, გრძნობებისა და ინტერესებისა, რომელიც აჩემებს რუსებს პირველობას მონარქიულ რეჟიმ ქვეშ, ასე თუ ისე, უსათუოთ ზვალინდელ კონსტიტუციონალურ რუსეთშიაც გამოიხატება.

ფედერაციის და სხვა-და-სხვა ავტონომიურ ერების თანასწორობის აზრის განსახორციელებლათ აუცილებლად საჭიროა, რომ რუსულმა ლიტერატურამ ამას სერიოზული

ყურადღება მიაქციოს და იგივე მნიშვნელობა მისცეს, რომელსაც ის აძლევს სხვა-და-სხვა ეკონომიურ და კლასსიურ ჩახლართულ და ჯერეთ გამოურკვეველ კითხვებს. აუცილებლად საჭიროა, რომ რუსის მებრძოლ პარტიებმა თავიანთ პროგრამის ერთ უმთავრეს პუნქტად მიიღონ პატარა ერთა ავტონომია და რუსეთის ფედერალური ორგანიზაცია. საჭიროა, რომ ეს აზრები ჩასწვდნენ გულის სიღრმემდის რუსის მეთაურ უმრავლესობას.

გაგერმანების მიმართულება, რომელსაც ხმარობს კონსტიტუციონალური გერმანია, თუ არ „ნახევარ სოციალისტურ" გერმანეთი, პოლონეთის შესახებ, ჩვენთვის გაკვეთილი უნდა იყოს იმის შესასწავლად, თუ რა იმედი უნდა გვქონდეს დიდ ერთა სამართლიანობისა, როდესაც საქმე დამოკიდებულ ერების უფლებათ შეეხება. უღირსი და ტირანული საშუალებანი, რომლებიც დემოკრატიულმა საფრანგეთმა და ლიბერალურმა ინგლისმა აირჩიეს თავიანთ კოლონიებისათვის — მაგალითად უნდა გვქონდეს იმის გამოსარკვევად, თუ რა ნელა ვითარდება ეროვნულ ავტონომიის და თანასწორობის იდეები.

აი ამიტომაც ქართველებს, ისე როგორც სხვა ერებს, რომელთაც იმედი აქვსთ ავტონომიისა, უნდა უხაროდესთ განვითარება რუსის იმ ნაწილისა, რომელმაც მიიღო ეს იდეა.

იმათ უნდა მისცენ ხელი ამ სამართლიანობის იდეის ახალ მოციქულებს, შეერთებულის ძალით რუსეთის დღევანდელ ძალმომრეობის რეჟიმის დასამხობათ.

მაგრამ იმავე დროს ნუ დაივიწყებენ, რომ ავტონომიის მოპოება რუსეთში უმთავრესად დამოკიდებულია მათს წინააღმდეგობასა და სოლიდარობაზე, ისე როგორც იმ ძალასა და სიმტკიცეზე, რომელსაც ისინი გამოიჩენენ მომავალ აუცილებელ ბრძოლაში.

(შემდეგი იქნება).

## სიმართლე ომის შესახებ

რუსის მთავრობა და მასთან ერთად გაზეთებიც ცდილობენ ტყუილ ამბებით თვალი აუბან ჩვენს ხალხს. ცრუობენ კორესპონდენტები, ცრუობენ გენერლები, ცრუობენ მინისტრები. რუსეთის მთავრობა აცხადებს, მშვიდობიანობა მწადიაო და ამითი უნდა ახსნას თავისი მოუმზადებლობა და დამარცხება ზღვაზედ. მაგრამ « ფიცი მწამს და ბოლო კი მაკვირვებაო », სწორედ ასე მოსდის მთავრობასაც. ვისაც მშვიდობიანობა უნდა, ის არ დაიჭერს ძალით სხვის ადგილებს. რუსეთს უნდოდა უომრად წაერთმია ჩინეთისათვის მანჯურია. რუსის პრესის ერთი ნაწილი კიდევ პატრიოტულ გრძნობების გასაღვიძებლად ავრცელებს : იაპონელები მუხთალი და ვერაგი ხალხიაო. იაპონია ომის გამოუცხადებლად დაგვეტაკაო. როგორ გამოეპარა რუსეთის დიპლომატიას, რომ ომი მოსალოდნელი იყო, განა იაპონიის დიპლომატიას უნდა შეეტყობინებინა რუსეთისათვის ადგილი, დღე და საათი პირველ თავდასხმისა ?! წინააღმდეგ ამ ტყუილებისა, ჩვენ ვეცდებით, შეძლებისა და გვარად, მოვაწოდოთ ჩვენს მკითხველებს სიმართლე, არ დავუმალავთ რუსეთის ჯარის გამარჯვებას და არც მის დამარცხებას.

23 იანვ., როდესაც იაპონიამ გამოუცხადა რუსეთს, რომ « იაპონია თითონ მიიღებს ზომებს თავის ინტერესთა და უფლებათა დასაცველად », ამ დროს რუსეთის სამხედრო გემები ამ გვარად იყვნენ განაწილებულნი : 4 გემი იდგა ვლადივოსტოკს, 19 — პორტ-არტურს, 2 — ჩემულპოს, 1 — შანხაის და 1 — ნიუ-ჩვანგში. 24 და 25 იანვარს რუსეთის მთავრობას არავითარი ზომები არ მიუღია თავის გემების დასაცველად.

26 იანვარს რუსეთის გემს « კორეეცს » ჰსურდა ჩემულპოდან გამოსვლა, მაგრამ იაპონელ გემების გამო იძულებული გახდა ისევ დაბრუნებულიყო ჩემულპოში.

იმავე დღეს პორტ-არტურში შევიდნენ იაპონიის ნაღმიანი გემები, ამათ ისარგებლეს რუსულის სასიგნალო ფარნებით, მით მოატყუეს რუსეთის გემები, რომელთაც თავიანთები ეგონათ და ახლო მიუშვეს. იაპონელებმა რუსების საუკეთესო გემებს : « პალადას », « ცესარევიჩს » და « რეტვიზანს », ნაღმები ესროლეს. ეს გემები ისეთნაირად არიან დაზიანებულნი, რომ მათი შეკეთება პორტ-არტურში შეუძლებელია. ხოლო « რეტვიზანს » ზღვაში მოძრაობა აღარ შეუძლია, მას ხმარობენ როგორც სანაპირო ბატარეიას.

27 იანვარს, იაპონიის ესკადრამ დაამსხვრია ჩემულპოში სამხედრო გემები « ვარიაგი » და « კორეეცი ». დაჰღუპეს აგრეთვე სამედრო სატრანსპორტო გემი « სუნგარი ». მეზღვაურები უცხოეთის გემებმა გადაარჩინეს. ამის შემდეგ იაპონელები გადავიდნენ კორეიაში და დაიჭირეს ქ. სეული.

28 იანვარს, იაპონიის ესკადრამ ხელმეორედ მიიტანა იერიში პორტ-არტურზე. დაზიანდნენ გემები : « პოლტავა », « დიანა », « ასკოლდ » და « ნოვიკ ».

29 იანვარს, ვლადივოსტოკის ესკადრა დაეცა იაპონელ ორს სავაჭრო გემს, ერთი მათგანი დაატყვევა. ხოლო მეორე « ნაკანურუ-მარუ » ზღვაში დაჰღუპა. საზოგადოთ ვლადივოსტოკის ესკადრა ემალება იაპონელებს.

29 იანვარს, პორტ-არტურში დაიღუპა გემი « იენისეი », რომელიც მისგანვე ზღვაში გამართულ ნაღმს წააწყდა, აფეთქებულმა ნაღმმა ძირი შეუნგრია, რისგამოც გემი ჩასძირა და მასთან 92 კაცი დაიღუპა.

30 იანვარს, « იენისეის » ბედი « ბოიარინსაც » ეწვია, იგიც წააწყდა დალნის ახლო მტრისთვის დამზადებულ ნაღმს და თუმცა არ დაიძირულა, მაგრამ ისე დაზიანდა, რომ ბრძოლისათვის აღარ ვარგა.

1 თებერვალს იაპონელები კიდევ დაესხნენ პორტ-არტურს. ნაღმის აფეთქების გამო დაზიანდა კრეისერი « ბოიან ».

11 თებერვალს, რუსებმა მიატოვეს ელიოტის კუნძულები. იაპონელებმა დაიჭირეს ეს კუნძულები და ხელში ჩაუვარდათ რუსებისაგან დატოვებული ქვანახშირი. ეს კუნძულები მათ ეხლა საოპერაციო ბაზისად აქვთ პორტ-არტურისა და დალნის წინააღმდეგ.

11 თებერვალს, იაპონელებმა შეიყვანეს პორტ-არტურში ქვით დატვირთული ოთხი სავაჭრო გემი, იმ აზრით, რომ ჩაეძირათ ეს გემები პორტ-არტურის შესავალში და ამგვარად გზა შეეკრათ და ჩაემწყვდიათ რუსეთის ესკადრა. ეს განზრახვა ვერ შეასრულეს, რადგან რუსებმა ადრე შენიშნეს მათი გემები და დაუწყეს სროლა და ოთხივე გემი ჩასძირეს. პორტ-არტურს ალყა შემოარტყეს იაპონელებმა.

23 თებერვალს, იაპონიის ესკადრამ რვა ვერსის მანძილზე ზარბაზნები დაუშინა ვლადივოსტოკს. რამდენიმე სახლი დაანგრია. ყინულის გამო ახლო ვერ მიუდგა. იაპონელებმა დაიპყრეს ვლადივოსტოკის ახლო კუნძული ასკოლდი.

რუსეთის სამხედრო ფლოტი ამგვარად შემცირდა. დაიღუპნენ შემდეგი გემები : « ვარიაგი », « კორეეცი », « ენისეი » და რამდენიმე ნაღმიანი გემი ა-დაზიანებულნი არიან ისე, რომ პორტ-არტურში შეა-

კეთება შეუძლებელია: «ბოიარინ», «პალადა»,
«რეტვიზანი» და «ცესარევიჩი». დაზიანებულნი
არიან, მაგრამ შეიძლება შეკეთება: «პოლტავა»,
«დიანა», «ასკოლდი», «ნოვიკ» და «ბოიან». და-
რჩნენ დაუზიანებელნი: ვლადივოსტოკში 4 გემი,
პორტ-არტურში 9 გემი.

იაპონელებს ჰყავთ: 10 ჯავშნიანი გემი, 7 კრეი-
სერი პირველ ხარისხისა და 18 მეორე ხარისხისა,
3 სანაღმო-სატრანსპორტო და 30—40 მენაღმე გემი.

როგორც ხედავთ, მართალი სთქვა გენერალ დრა-
გომიროვმა: «დავანებოთ თავი ზღვას, დავუცადოთ
იაპონელებს ხმელეთზედ», ე. ი. რუსები დამარცხე-
ბულნი არიან ზღვაზედაო.

ამ ჟამად 20 თებერვალს რუსეთს ჰყავს ბრძოლის
ველზე 160,000 კაცი, იაპონელებს — 100,000 კაცი.
რუსეთი დღეში მხოლოდ 2,500 კაცის გადაყვანას
ახერხებს; ჯარების გადაყვანა ისე ცუდათაა მოწყო-
ბილი, რომ სალდათები ფეხებ-გაყინული გამოჰყავთ
ვაგონებიდან. საინტენდანტოში დიდი ქურდობა
არის.

თუ რას გაარიგებს კუროპატკინი, რა მდგომარე-
ობაში არის რუსეთის ფინანსები, რას ამბობს უცხო-
ეთის პრესა და ხმელეთზე მომხდარ შეტაკების შე-
სახებ, შემდეგს ნომერში მოვახსენებთ მკითხველს.

## ექვსი კაცის ჩამოხრჩობა ბათუმში

(ჩვენის კორესპონდენტისაგან).

2 თებერვალს ჟანდარმებმა და ჯაშუშებმა „პატრიოტუ-
ლი" მანიფესტაცია გამართეს. ადღეგრძელებდნენ ხელმწი-
ფეს და მის ჯარს გამარჯვებას უსურვებდნენ იაპონიასთან
ომში. ბათუმის მუშებმა, გაიგეს თუ არა ამ მანიფესტაციის
ამბავი, შეგროვდნენ ორას-სამას კაცამდე და დაერივნენ
რუს-პატრიოტთა მანიფესტანტებს. ამ დროს პოლიციაც
მოვიდა, გაჰფანტა ხალხი და რამდენიმე კაცი დაატუსაღა.
მუშების დატუსაღების ხმა სწრაფად გავრცელდა მუშათა
უბნებში და იქიდამ წამოვიდა დიდძალი ხალხი (4000—5000).
დამბაჩების სროლით, „ვაშას" ძახილით თვით-მპყრობე-
ლობას გმობა დაუწყეს. პოლიციამ ექვსი მოთავე ხელში
ჩაიგდო (ხუთი ქართველი და ერთი სომეხი) და დანარჩე-
ნებიც ჯარის შემწეობით გაჰფანტა. იმ ექვსი კაცის ბედი
იმავე დღეს გადასწყდა. სამხედრო სამსჯავრომ ექვსსავე
ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა, რაიც მეორე დღესვე აღასრუ-
ლეს. და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ხალხი ომის წინააღ-
მდეგია და გაჰბედა თვით-მპყრობელობის გმობა, რომელმაც
გამოიწვია ეს სისხლის ღვრა!

## რუსეთის ქრონიკა.

ქალების უმაღლესი კურსები პეტერბურგში დახურეს.
აი მიზეზი.. ამას წინად კურსის პროფესორთა საბჭომ ქვე-
შევრდომობის იმპერატორს მიართვა ადრესი, რომელშიაც
გამოუცხადა, რომ ქალების კურსები პროფესორებითურთ
თავიანთ ერთგულებას უცხადებენ იმპერატორსაო. ამ ამბის
ი; შემდეგ კურსებზე 800 ქალმა მოიყარა თავი და ცხარე მო-
ი ლაპარაკების შემდეგ დაადგინეს: გამოეცხადოს პროფე-
ალ.სორებს დიდი საყვედური, რადგან მათ შეურაცხყვეს ადა-
ანაშიანის პიროვნება და მოსწავლე ქალთა დაუკითხავად, იმა-
ათის სახელით იმპერატორს უქვეშევრდომილესი გრძნობები
ირ გამოუცხადესო. ამ პროტესტის გამოცხადებას კურსების
ასიდახურვა მოჰყვა.
ებ;
რომ

—()—

პეტერბურგის სამთო ინსტიტუტში სტუდენტთა კრებაზ
შემდეგი რეზოლუცია დაადგინეს: რადგან იაპონიასთა
ომი გამოწვეულია იმით, რომ მცირე ჯგუფს მინიჭებულ
ჰქონდა იმგვარი უფლებანი, რომელნიც დიდ ზიანს აძლევ
დნენ რუსეთის ხალხს და აგრეთვე, რადგან მთავრობი
პოლიტიკა მორეულ აღმოსავლეთში ავანტიურიზმის პოლი
ტიკაა, ამიტომ სამთო ინსტიტუტის სტუდენტებმა 10 თე
ბერვალს მომხდარ კრებაზე დაადგინეს: „პატრიოტიზმ
გვავალებს ხალხს ვემსახუროთ და არა ხალხის ექსპლუატა-
ტორებს, რისგამოც ჩვენ მკაცრად ვკიცხავთ მთავრობას,
რომელიც ამ ახალ უბედურების ნამდვილ დამნაშავეთ ჩაი-
თვლება და აგრეთვე საყვედურს ვუცხადებთ რუსეთის
ახალგაზრდობის იმ ნაწილს, რომელსაც ცრუ პატრიოტულ
მანიფესტაციების გამართვით და უქვეშევრდომილეს ად-
რესების მირთმევით ხალხის გული უნდა მოეგო და ეს
უღმერთო და უსარგებლო ომი გაემართლებინა".

## სხვა-და-სხვა ამბები

ტფილისიდან გვატყობინებენ — ამ ჟამად დაჭერილნი
არიან და ციხეში სხედან: ბ-ნნი კაკო წერეთელი, მავდია,
არსენიძე, ანდრონიკაშვილი და ქ-ნი ნინო თოფურიძისა.
ყველა ამათ მთავრობა სწამებს არალეგალურ ლიტერატუ-
რის გავრცელებას.

—()—

პატრონ გოლიცინს ისედაც შერყეული მეხსიერება და გო-
ნება საშინლად გაჰფუჭებია, ასე, რომ სხდომებზედ ერთი
საათის მეტს ვერ ისმენს თურმე მოხსენებას, ისიც რის წვა-
ლებით.

—()—

ქუთაისიდან გვწერენ, რომ ერთ წარმოდგენის დროს
გუბერნატორ ბ-ნ სმაგინს თავზედ გადააყარეს პროკლამა-
ციებიო. მეჭვი აუღიათ ზოგიერთ მეგირდებზედ და ამისათ-
ვის რამდენიმე გიმნაზიელი შეუპყრიათ. გიმნაზიელები
აჯანყებულან და მოუთხოვნიათ უბრალოდ დაჭერილ ამხა-
ნაგების განთავისუფლება. გადაუწყვეტიათ წასულიყვნენ
ერთად გუბერნატორთან. მთავრობას ჯარი შემოურტყავს
გიმნაზიისათვის და არ გაუშვია მეგირდები.

—()—

ბაქოდან გვწერენ, რომ ქალაქის თავს ბ. ნოვიკოვს სილა
გაურტყამს ჟანდარმთა პოლკოვნიკ თავ. ალ. მიქელაძისა-
თვის. კლუბში რომ შესულა ნოვიკოვი, ყველასათვის ჩამო-
ურთმევია ხელი, გარდა მიქელაძისა. ამ უკანასკნელს ხმა-
ლი გაუწვდენია. ნოვიკოვს უთქვამს: „მე ჯაშუშებს ხელს
არ ვაძლევ". ამაზედ ჟანდარმ ალ მიქელაძეს დაუძახნია:
„ბოლვანი" (ხეპრე) ხარო. ამის პასუხად ბ. ნოვიკოვს სი-
ლა გაურტყავს. საქმე ჩააფუჩეჩესო.

—()—

ბათუმის ციხიდან გამოიქცა ბ-ნი იაშვილი და ამ ჟამად
საზღვარ-გარედ იმყოფება. იაშვილი დიდ მონაწილეობას
იღებდა პროპაგანდასა და არალეგალურ ლიტერატურის გა-
ვრცელებაში სალდათებ შორის.

## შეცდომის გასწორება

წინა ნომერში შეგვეპარა ერთი შეცდომა. ნათქვამი იყო,
ვითომ პოლონეთის სოციალ-დემოკრატები რუსეთის ს.-დ.
მეორე კონგრესის კრებიდამ გამოვიდნენ, რადგან რუსეთის
პარტიამ ფედარაციული პრინციპი არ შეიწყნარაო. ნამდვი-
ლად კი მათი გამოსვლის მიზეზი იყო ბედკრული „само-
определѣніе"-ს ჩარიცხვა რუსეთის ს.-დ. პროგრამაში. ეს
მუხლი პოლონეთის სოციალისტებს პ. პ. ს.-ს ხელს მოუ-
წყობს სეპარატიზმის განხორციელებაშიო. პოლონეთის
„სოციალ-დემოკრატები" მარტო ავტონომიის მომხრენი
არიან, ხოლო „პოლონეთის სოციალისტები" (პ. პ. ს.) პო-
ლონეთის პოლიტიკურ განთავისუფლებისაკენ მიისწრა-
ფებიან.
რედ.

## ფოსტის ყუთი

„პირატისაგან" მივიღეთ 5 მან. ეცადეთ სხვებსაც წა-
აკითხოთ.

„მესხ". — ყველა თქვენი წერილები მივიღეთ. გმადლობთ.

Assoc. ouvrière, J. Allemane, directeur, 51, rue St-Sauveur.